



ყოველკვირეული საზოგადოებრივი, საშემსრულებლო და სალიტ. გაზეთი

№ 24.

2 ნოემბერი 1908 წ.

ფასი 10 კაპ.

წინასწარი: მეთაური.—გზა და მზა.—ინტერნაციონალის კრება, მინერისა.—სახელმწიფო დუმა.—სხვა და სხვა ამბები ჩვენში.—ქუთაისში.—მნათობა ჩივილი, ლევ. მატრეველისა.—* * * ლექსი, ლ. ესპაშვილისა.—მეფე შიმშილი—თარგ. ვანდენილისა.—სათარხანი არტემიუსისა.—წერილილი მსსკოვიდან—ივ. ი.—ძე—სი.—თეატრი დამუქია: სხაზინო თეატრი, ლევ. მეტრეველისა, ქუთაისის თეატრი სერ—კორეისა.

ამხანაგები და ნაცნობები აუწყებენ საზოგადოებას და ნაცნობ-მეგობრებს

ნიკო (მიტრო) გგელაძის

უძროთ ვარდაცვალებას, დასაფლავებენ კვირას, 2 ნოემბერს ს. ქაქუთაში (გურია).

Doux pays *)

პოლონეთის ხალხი—როგორც იტო—დიდი ხნიდანვე თავგამოდებით ესწრაფის, რომ სწავლა-განათლება უმდაბლეს საფეხურიდან უმაღლესამდე, სწარმოებდეს სამშობლო, პოლონურ ენაზე. მთავრობა მისთვის, ხანდახან, მცირედენ დათმობას იმეტებს ხოლმე, მაგრამ უმაღლეს ამ მცირედსაც უკანვე აბრუნებს, რადგან ბეჯითით ესწრაფის, რომ მთელს იმპერიაში, და მამასა-დამე პოლონეთშიც, მთელი სწავლა-განათლების საქმე უეჭველათ სწარმოებდეს სახელმწიფო, რუსულ ენაზე.

*) „ბუნდური“ ქვეყანა.

პოლონელები რუსულ სკოლის ბოიკოტს უცხადებენ. ასე მაგ., ვარშავის უნივერსიტეტში, რომელიც პოლონელებისთვის არის გახსნილი, პოლონელ სტუდენტების რიცხვი 50 პროცენტსაც ვერ აღწევს. დიდი ნაწილი მათი ახალგაზღვრისა ან კერძო, პოლონურ სკოლებში სწავლობს და ან სახლვარ-ვარათის სასწავლებლებში. რუსულ სკოლას კი პირდაპირ მტრულის თვლით უცქერიან.

ამ რამდენიმე კვირის წინათ ვარშავაში რამდენჯერმე თავს დაესხნენ იმ რუსულ უმაღლეს სკოლის სტუდენტებს, რომელსაც პოლონელ საზოგადოებისაგან ბოიკოტი აქვს გამოცხადებული. ამ ამბის გაგებაზე ვარშავის გენერალ-გუბერნატორი გენ. სკალიონი, დამუქრა მთელ პოლონეთის ხალხს: „რუსული სკოლის ბოიკოტი პოლონურ სკოლის სასარგებლო კი არა, დამღუპველი იქნება“. ეს გამოაცხადა გასულ ოქტომბრის 14 რიცხვს, და მეორე დღეს გენ.-გუბერნატორისავე განკარგულებით ვარშავაში დაიხურა კერძო, პოლონური სკოლები. ამან მთელ პოლონეთში გამოიწვია დრტვინვა-აღშფოთების ქარიშხალი. ერთი კვირის შემდეგ გენერალ სკალიონის განკარგულება გაუქმებულ იქნა და დახურული სკოლები ისევ გაიხსნა.

მთავრობის მოქმედების ასეთ რყევას რუსეთის სატახტო ვაჭრებმა იმითი ხსნიდენ, რომ ცენტრალურსა და ადგილობრივ მთავრობათა შუა თანხმობა არა სუფევსო. მაგრამ ჩვენ აქ ეს საკითხი არ გვანტერესებს.

ზემო აღნიშნული მოვლენანი ჩვენს ქვეყანაშიც არა იშვიათად ხვდება, თუმცა უფრო პატარა მასშტაბით, ვინემ პოლონეთში. ამა წვ., ამ დღეებში თბილისის ერთ-ერთ რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორმა ქალაქის გამგეობის „ყურადღება მიიქცია“ იმაზე, რომ ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებში სახელმწიფო ენას სათანადო ვერ ასწავლიანო; ამას შედეგათ ის მოჰყვა, რომ გამგეობამ სკოლის უფროსთ წინადადება მისცა, სასწავლო მესრულებელ იქმნას ბ-ნ ინსპექტორის მოთხოვნა და ყველა საგნები ამიერიდან ისწავლებოდეს მხოლოდ რუსულ ენაზეო.

ამ ახლო ხანში ჩვენ მოვწმე ვაგვლით უფრო მნიშვნელოვან მოვლენას. უკვე მესამე კვირაა თბილისში არც ერთი ლექცია აღარ წაკითხულა არც ადგილობრივ ენაზე, თუმცა ლექციის წაკითხვის მსურველნი ბევრი იყვენ. ვაგვთებმა გამოაცხადეს, რომ ქართულ, სომხურ და თათრულ ენებზე ლექციის წაკითხვა ამიერიდან აკრძალულიაო. ადგილობრივ ენებზე ლექციების აკრძალვა, არა თქმა უნდა, ჰნიშნავს სახალხო უნივერსიტეტის დახურვას ადგილობრივ მუშა ხალხისათვის, რადგან ამ უკანასკნელს მხოლოდ სამშობლო ენაზე შეუძლიან ლექციების მოსმენა.

როგორ შეხედენ ამ ამბავს ხალხი, საზოგადოებ და პრესა?

ჩვენმა ჟურნალ-გაზეთობამ ხმა—კრინტი არ დასძრა და თვით შეპრესეთა გარდა, არავინ იცის, თუ რა იფარება პრესის ღუმელში. საზოგადოებასა და ხალხს ყურად არ გაუბნობენ, ბევრმა დღემდე არც კი იცის თუ ვინმემ რაიმე აკრძალა როდისმე.

თავისთავათ ცხადია, რომ ჩვენნი ასეთი დაუღვევრობა, ვაგვრობა და აპატია აიხსნება იმით, რომ ჩვენში ნაციონალური თვითშეგნება ჯერაც უნდაბლეს საფეხურზე იმყოფება. მაშასადამე, ჩვენ კულტურულით ძალიან უკან ჩამორჩენილი ვართ, ჩვენში ბურჟუაზიაც და პოლიტიკარიტაც ჯერ კიდევ საკმაოდ განუვითარებელია. ჩვენში ბურჟუაზია, მემამულენი და მათი მეგულისძახებულ ინტელიგენცია მხოლოდ იმ „სიუხიზის“ იჩენენ, რომ წამ-და-უწუმ გაიძიხიან: კულტურულ საქმეში ხელი არა აქვს პოლიტიკასა და პარტიობას, და იმეფ დროს უღირს კამპანიას ეწევიენ სკოლიდან სოცდემოკრატ მასწავლებელთა გასაძეგებლათ. და როცა ჰკრძალოავენ სამშობლო ენაზე სწავლას, ე. ი. სკოლის კარებს უხურავდენ მთელ მუშა-ხალხს, ხსენებული ვაგვატარებნი ბრძნულათ ღუმელსა რჩებენ; მათ „კლასთა ბრძოლის პრინციპი“, ძალიან მარტივათ აქვთ წარმოადგენილი. მათი აზრით, რამდენათაც მუშათა მასსა უკულტურო და უმეცარია, იმდენათ იგი უფრო ადვილათ საკრემ-საყველფი ცხვარია; მათ ფიქრით აღარ მოსდით,

თუ თანამედროვე ვაჭრობა-მრეწველობა იმდენათ მგრძნობიარე მექანიზმისაა, რომ იგი ველარ გეგუება უღის-ციკლინო, უთავებლო სტაქიურ ძალას. და ამა თავს როგორ და გაიცხლებენ სხვ. უნივერსიტეტის დახურვის გამო.

ითიომ მუშა ხალხიც ვერ იჩენს ვერაფერს უნარს თავის საარსებო ინტერესების დაცვაში, განსაკუთრებით, როცა საქმე ენება მის ეროვნულ ვინაობას. ჩვენ მუშათა პარტიას, ანუ მის საგრძნობელ ნაწილს, ელემენტარულ ნაციონალურ უფლებების, ნაციონალურ თვითარსებობის დაცვის საქმეში ფიქრება აზარენ დასწამოს ნაციონალისტურ-შოკინისტური სულის-კვეთება, თუცა ნამდვილათ ხსენებული ნაციონალური თვითარსებობა აღამიანისა და მოქალაქის უფლებათა ქვა-კუთხედია.

მაგრამ უნუგეგუზება მაინც არ გვმართებს. მუშათა პარტია დღეს ვანიციდის ვარდამავალ ხანას, ზრდის კრიზისს, ამას იგი თავს დააღწევს ახლო მომავალში და მით ეროვნულ საკითხში იპოვის ღირსეულ და სათანადო პოზიციას. მაშინ იგი სათავეში მოექცევა იმ ხალხს, რომელიც გულ გამეხებული და ძლიერ-მოსილი აღიპართება კრევლთვის, როცა კი მახვდს მოუღერებენ მის საარსებო ძარღვს. მუშათა პარტია დარწმუნდება, რომ ნაციონალურ სკოლისა და სახალხო უნივერსიტეტის კარის გაღება-დაკეტვა თვით კონსტიტუციის დროსაც კი—მეტი არა ფიქრათ—ეკეპმლოლობას ემსგავსება, თუ კი ხალხს არ ეზოგება სათანადო გარანტიები და მაშინ მას (მუშათა პარტიას) საერთო, ძალუმ მოთხოვნათ ვადაექვევა **ავტონომია!**..

გ ზ ხ და გ ზ ხ
VIII

კიდევ ცენტრალიზაცია და კიდევ დეცენტრალიზაცია, ავტონომია.

თამათ შეიძლებოდა რ. ა.—სთვიენ სულ არ ვაგვეცა პასუხი მის უკანასკნელ სამ ფელეტონზე (იხ. „იმედი“ №16: 5, 6, 8), რადგან აქ ჩვენი კრიტიკული შენიშვნები (იხ. „ჩვ. კვალ“, № 18) არამც თუ დარღვეული არ არის, პირქით, უფრო კიდევ გამაგრებულ-განმტკიცებულია. მაგრამ მაინც გვინდა აღვნიშნოთ ამ ფელეტონების რამდენიმე ადგილი, როგორც მეტად-დამახასიათებელი ამს. „ცენტრალისტების“ შეხედულებათა.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ რ. ა.—ს უსაფუძვლო განწყვენება იმის გამო, ვითომ ჩვენ დეცენტრალიზაციისა და პოლიტიკურ ცენტრალიზაციის შესახებ. ნამდვილათ, რ. ა.—ს წერილიდან შესაფერი ადგილი ჩვენ სრულიად უცვლელათ და სიტყვა-სიტყვით გვაქვს მოყვანილი. (იხ. „ჩვ. კვ.“ № 18, გვ. 280). ამ ციტატის შემდეგ, იმ წერილში, სხვათა შორის, ეწერდით: „მტკნარი შეცდომაა, ვითომ პოლიტიკური ცენტრალიზაცია იგულისხმებდეს ადმინისტრაციულ დეცენტ-

რალიზაციას“. ამხე რ ა. მწვევთ გვისყვედურებს — „თქვენ ჩემი აზრი უკუღმა შეგებრუნებიათო“ და კემ- მარტებს ასე აღადგენს: „ჩვენ ვამბობდით: ადგილო- ბრივი ფართე თვითმართველობა (თუ დეცენტრალიზა- ცია თვითმართველობის საშუალებით!) გულისხმობს პოლიტიკურ ცენტრალიზაციას, ე. ი., პოლიტიკურ უღვლებებს ცენტრალურ პარლამენტის ხელში სჯივებს მეთქი“.

ასე, რომ სადაც არის ფართე აღვ. თვითმართვე- ლობა, იქ უეჭველათ არისო პოლიტიკურა ცენტრალი- ზაცია. რ. ა.—ს უნდა მივესამიძრობო, რომ იგი ამათი ცდილობს წახდენილ „საქციელის“ გამოკეთებას. აღნი- შნულ წინადადებას იგი წაბა შეგებრუნებს თუ უკუღმა, მაინც წინ ენება „მტკობი, ბავშუი შეცდობა“.

ფართო ადგილობრივი თვითმართველობა ადვილით შეიძლება „იგულისხმებდეს“ არა მარტო პოლიტიკურ ცენტრალიზაციას, არამედ აგრეთვე პოლიტიკურ დე- ცენტრალიზაციასაც; იგი (ე. ად. თვ.) შეიძლება არსე- ბობდეს როგორც ერთის, ისე მეორის დროს. აღმინს- ტრატული (ე. ი. ადგილობრივ თვითმართველობით) დეცენტრალიზაცია თუ ცენტრალიზაცია ერთის მხრით, და პოლიტიკური ცენტრალიზაცია თუ დეცენტრალი- ზაცია, მეორეს მხრით, სრულდებაც არ იგულისხმებენ ერთი მეორეს, აქ არავითარი ორგანიული კავშირი არ არსებობს.

რ. ა.—ს ერთი ძირითადი შეცდომა ის არის, რომ იგი მიდრეკილია იურიდიული ნორმა გააპრიციპოს, და ეს კი მეტათ სახედათო მიდრეკილებაა. ამან შეიძლება აღმაინა, თვით ძველი რევიმის მისისხლე მტერი იქამ- დე გაატინკოს, რომ მას ამავე ძველი რევიმის საორ- განიზაცია პრინციპის წინაშე მეტანია მოაყრევინოს. ამ უსიამოვნო გარემოებაზე მიუთითებდით ჩვენ წახსულ წერილშიც; ამას ძალიან გაუბრაზებია რ. ა., მაგრამ ამათ ჩვენი აზრი ნაკლებათ სამართლიანი როდი ხდება მართლაც, რაკი რ. ა. თაყვანებდა ცენტრალისტურ პრინციპს, იგი იძულებულია მთელ რუსეთის იმპერიის- თვის ერთათ-ერთი პარლამენტის არსებობა აღიაროს მიუცილებელ საჭიროებათ. და თუნდ ეს ცენტრალური პარლამენტი დემოკრატიული რესპუბლიკის ორგანო იყოს, ძველს და ახალ რევიმს შუა მაინც თვალსაზინო მზგავსება რჩება. მართალია ერთგან, ცენტრში დგას „ბიუროკრატია“ და მეორეგან პარლამენტი, მაგრამ ორივეგან პოლიტიკური ცენტრალიზაციაა ერთი და იმავე გვარის შედეგებით: ორივეგან პატარა ერები დანაგრუნი არიან, ორივეგან უარყოფილია, არა რუს ხალხთა ნაციონალური თვითარსებობა. დიან, რ. ა.—გბის „დემოკრატიული ცენტრალიზიში“ იგულისხმებს ფინლან- დის სემის გაუქმებას და აგრეთვე პოლონეთისა, კავკასიის და სხვა განაპირა ქვეყნებისათვის ავტონომიე- ბის სრულ უარყოფას. ეს დღესათი ნათელია, მაგრამ რ. ა.—ს მაინც შესწევს მწუხარე გამოხედაობა. უკმეხ სიტყვებით მოვედგეს: „სიღად გამოატყვორინა ჩვენ

კვლემა“ ასეთი აზრები? ვის გულში ამოიკითხა ეს ამ უებრო გულთაშობლემა“, რათ მოჰყალიბა იგი „სხვის გულსა და სულში ხელის ფათურს?“ და სხ. მეტე წარბ- შეუხრელით აცხადებს: „ჩვენ სრულიდაც არა ვართ წინააღმდეგი არც პოლონეთისა და არც ფინლანდის ავტონომიისა“.

ჩვენ, რასაკვირველია, არა გვქონებია არავითარი განზრახვა „სხვის სულსა და გულში ხელის ფათურს“, ჩვენ ვსჯით იმის მიხედვით, თუ რასა სწერენ პრესაში, და აი, რასა სწერს რ. ა. ერთ თავის უკანასკნელ ფელეტონში. იგი აღიარებს, რომ ფინლანდის ავტო- ნომიას ითმენს მხოლოთ დღეს-დღემათ, რადგან ეს ავტონომია იქაურ მუშათა კლასს იფარავს „რუსეთის ბიუროკრატის ბრკალეობითა“, ვარნა ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ—განაგრძობს რ. ა.—რომ საზო- გადგობრივ ცხოვრების განვითარებისათან და რუსეთის სრულ დემოკრატიზაციისათან ერთათ, ეს უპირატესობაც გაუქმდება და მაშინ თვით ფინლანდის ავტონომია მუშათა კლასის მფარველობის მფარე მის ბოროტლე- ბათ იქება. იგი მხოლოდ შემაფერხებელი გახდება სრულიად რუსეთის მუშათა ერთ მძლავრ არმიათ და- რაზმის, ე. ი. ცენტრალისტურ ორგანიზაციაში შეკავ- შირების და ფინლანდის მუშათა კლასი არ დაიშუ- რებს მის (ავტონომიის) დასხვრევას თავის ფრთის გასაშლელათ“ („იმელი № 6), (კურსივი ჩვენია).

უკეთესი შეხედულებანი რ. ა-ს არც მოეთხოვება. მას ერთხელეც ბედის წყრასათი აპკვიატებია ის ყოვლათ შემცდარი აზრი, ვითამ სოც. დემოკრატს ყველგან და მუდამ გულზე ავგაროზივით უნდა ეკიდოს ცენტრალიზ- მის პრინციპით-მართალია არა ბიუროკრატულიის, არამედ „დემოკრატიულ ცენტრალიზმის“ პრინციპი—ამასთანა- ვე, მან კარგათ იცის, რომ ამ „დემოკრატიულ ცენ- ტრალიზმს“ შეწინააღმდეგებდა და აუარკუცეს ავტონომიე- ბი“, და ამა რალა საკვირველია, თუ რ. ა. ვერ შეუ- როგდება ავტონომიას; იგი ამ უკანასკნელს ითმენს მხო- ლოთ განსაკუთრებულ შემთხვევაში და ისიც წუთიერთ (ვიდრე მოიშორებდეს ბიუროკრატის ბრკალეს). ცენტრალიზმს კი რ. ა. წუთიერთათც ვერ შეხედდეს ურიგოთ, რადგან ის „ღრმათ დარწმუნებულია“, რომ „ცენტრალიზმი არაა ბურჟუაზიის სურვილზე, არამედ თვით თანამედროვე საზოგადოების განვითარებაზე, მის ეკონომიურ ძალთა დაუსრულებელ კონცენტრაციანა და მოკიდებული“ და ამიტომაც, ცენტრალიზმის წინააღ- მდეგ წახსელა მისი აზრათ „ნიშნავს ცხოვრების წინააღ- მდეგ ახედრებას“; ცხადია, ს. დემოკრატია ამას ვერ ურჩევს მუშებსა“. („იმელი № 5)... გამოდის, რომ პო- ლონეთის და ფინლიანდის და სხ. სოციალდემოკრატია ცხოვრების წინააღმდეგ ყოფილან ახედრებული; გამო- დის, რომ ცხოვრებას წინ ვადლოებია აგრეთვე შეე- ცია-ნორვეგიის სოციალდემოკრატია, რომელმაც ამ ოთხიოდ წლის წინათ ენერგიულათ მხარი დაუჭირა თავ-თავინთ სამშობლოთა სახელმწიფოებრივ განცალ-

ყვევას; გამოის რომ... მგრამ რა საქირა ყველის ჩამოთელა. თუ რ. ა.-ს. დავუჯერებთ, მიელი სერთა-შორისო სოც. დემოკრატია საბრალო ყოფილა, რომ მას მრჩეველ-დამრიგებლათ და მსწავლებლათ არა ჰყოლია ჩვენი რ. ა-ები და გ.ე-ები. აფსუსს აფსუს!

ერთ წწრილში (ჩვენკელთან კამათის დროს), ჩვენ მაგალითებით განვმარტავდით, რომ პოლიტიკური დეცენტრალიზაცია, თანამედროვე ავტონომიები არამც თუ არ ეწინააღმდეგება „ეკონომიურ ძალთა დაუსრულებელ კონცენტრაციას“, არამედ ხელსაძუწყობს, და ყოველ შემთხვევაში, საუცხოვოთ ეგუება მას. მგრამ რ. ა. ჩვენს მიტყებებს სრულიად უყურადღებოთ ტონებს, და, თითქოს „ჩახაზბრულ“ დაითნს ან გომილენტიკას „რასაკობსოა“, ვაჯუტებუელი იმერებს ყველა თავის ძველ არგუმენტებს ავტონომიის წინააღმდეგ.

რ. ა. კვლავ დაიწებულა:—ავტონომია ანცალკეებს მუშათა კლასს, რადგან მას შემოაქვს კანონთა სხვადასხვაობა. უკანასკნელი განსაკუთრებით დიდით მანებებელი „სადამოქრო და საქარხნო კანონმდებლობაში“, და იმოწმებს პოლონელ ს. დ. 3—*skii*-ს, რომელიც აღნიშნულ დარგებს უქვედებარებს „სიმპერბიო პარლამენტის კომპეტენციას“. ჩვენი რ. ა. ამაში ჰხედვს იმის ხელის, რომ „იგინი (ე. ი. პოლონელი სოც. დემოკრატები) მუშათა კლასის თვალთა ხედვის ისარით ზომივენ ავტონომიას“, ხოლო „თქვენ კი —შეტევით მოუბრუნდებთ რ. ა. ჩვენი კვლის“ ჯგუფს—ავტონომიით ზომავთ მუშათა კლასის საკითხებს“. („იმედით“ № 8) ეს ერთობ... უაღვილო ფრაზა. ავტონომიით რომელიმე საზოგადოებრივ კლასის ინტერესების თუ საკითხების გაზომვა უაზრობაა; ნამდვილთა ცხოვრებაში უკულმა ხდება, ე. ი. მეორეთი პირველი იზომება. რაც შეეხება „სადამოქრო და საქარხნო კანონმდებლობის“ ერთიანობას, ამაში სულაც არ არის რაიმე სპეციფიური. მუშური მოთხოვნა, რადგან მას თხოულობს აგრეთვე პოლონეთის მსხვილი ბურჟუაზია, ასე წოდებული „უგადოვცე-ბი“ და ყველა ის „პანები“ „ბატონები, რომელიც კაინილანდენ ბიურკრატულ თვითმპყრობელობას ფეხქვეშ უგარავენ.

რ. ა. მიიართავს უცხოეთის ს. დ.-ს და ჰხედავს, რომ „მუშათა კლასი სხვა და სხვა სახელმწიფოში, ჰავაში და სს. ჰაინც ერთგვარ კანონდებას მოითხოვს, კანონების ერთ და იგივეობისკენ მისწრაფვის... ასეთია მუშათა პარტიების პროგრამებიც“, და მასსადამე ავტონომიის მოთხოვნა ეწინააღმდეგება ამ მუშათა პარტიების პროგრამებს.

რ. ა-ს აქ ერთმანეთში ერევა ისეთი სრულიათ სხვა და სხვა ცნებები; როგორც არის კანონი, კანონდება თუ კანონმდებლობა და საკანონმდებლო ორგანო (законъ, законодательство, законодательный органъ) სხვა და სხვა სახელმწიფოში ერთ და იმავე კანონის მოთხოვნა სრულებითაც არ ნიშნავს ამ სახელმწიფოთა

საკუთარ, დამოუკიდებელ კანონმდებლობის გაუქმებას და ერთად ერთ ცენტრალურ პარლამენტს დაწესებას. ამის წარმოდგენაც კი გიჟური ფანტაზია იქნებოდა. დღეს მაგ., სხვა და სხვა ქვეყნების მუშათა პარტიები თუ პროფესიონალური კავშირები, და აგრეთვე ზოგი ბურჟუაზიული პარტიებიც ითხოვენ, ყველა სახელმწიფოში უზომის ერთგვარ მფარველობის კანონებს, მგრამ ჯერ არც ერთ საზღვარგარეთულ სოც.-დემოკრატს და მით უფრო ბურჟუაზიის იდეოლოგს—აზრათ არ მოსვლია მოეხიზოვა სხვა და სხვა სახელმწიფოთა ცალკე პარლამენტების გაუქმება; პირიქით, ისინი ამ კანონების გამოკლება ითხოვენ სწორედ სხვა და სხვა სახელმწიფოს სხვა და სხვა პარლამენტებისაგან. თავისთავთ ცხადია, რომ ამ ერთგვარ კანონების გატარება არა ნაკლებ შესაძლებელი უნდა იყოს სხვა და სხვა ავტონომიების ორგანოთაგან, რადგან ესენი ერთ და იმავე სახელმწიფოს ფარგლებში არსებობენ.

რ. ა.-ს წარმოდგენია, ვითომ ავტონომიის დაარსება ნიშნავდეს კანონთა მთელ სისტემის გადაბრუნებას. ასე მაგ., უკეთეს საქართველოს თავის პარლამენტი ექნებოდა და აღმოსავლეთ ამიერ კავკასიას თავისი პარლამენტი, მაშინ, როცა ეს უკანასკნელი დააკანონებდა, ვთქვათ, ერთ ცოლიანობას, საქართველოს პარლამენტი უმაღლე გამოსცემდა კანონს, რომელიც ყველა აქ მცხოვრებისთვის დააწესებდა მრავალ ცოლიანობას, და ასე იზამდა შოკოლი იმიტომ, რომ ქვეყნიერობისათვის ეუწყებინა—მეც საკუთარი პარლამენტი მაქვსო. განა რომ აბსურდია ასეთი მსჯელობა! მაშ. ამა. „ცენტრალისტებმა“ უნდა შეიგნან, რომ კანონებს არ მოეგოვებათ დამოუკიდებელი არსებობა; კანონი, თუ კი ის ვაბატონებულ ნაციონალ არ არის დაწავრულ ნაციონალი ძალათ თავზე მოხვეული, თუ კი ის არ არის ძალმოპრეობა—თვითნებობის მატარებელი, კანონი უუქველათ უბრალო სარკვა, გამოხატულებათ არსებულ სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ ვითარებისა; იქ, სადაც ერთ გვარია ეს უკანასკნელი, იქ აუცილებლათ ერთგვარია კანონებიც, ამ ერთგვარობას წინ ვერ უდგება ვერც სახელმწიფოს და ვერც ავტონომიის სახლგარი. ხოლო იქ, სადაც სხვა და სხვა გვარია ხსენებული ვითარება, თვით კანონებიც^{*)}, აუცილებლად სხვა გვარი უნდა იყოს, თუ კი, რასაკვირველია, არ მიგმართათ ძალმოპრეობას. ამიტომაც, მაგ., უკან ჩამორჩენილ ქვეყნის მუშათა პარტიისაგან იმავე მოთხოვნების წამოყენება (დღესვე განსახორციელებლათ), რასაც ითხოვს დაწინაურებულ ქვეყნის მუშათა პარტია, ვერ გასცილდება უკეთეს შემთხვევაში, საავტაციო მნიშვნელობას.

ამ რიგათ, ავტონომია თავის და თავათ არავითარ მიჯნებს და კედლებს არ აჩენს მუშათა კლასში; პირ-

*) ჩვენ სახეში გვაქვს კანონთა მთელი სისტემა, თითო ოროლა მზხამის კანონი კი შიძლება გამოვიროს საკმაო და შორებულ ვითარების მიქნე ქვეყნებშიაც.

იქით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ავტონომია ანერგეს უკვე არსებულ კვლავს. ამ სტრუქტურებზე რ. ა.—ები ფართოთა აქვეყნებ ვაიცებულ თვალს, მაგრამ ყველა მიუღღმომელი მკითხველისათვის, რომელსაც თვალზე არ გადაჰკერია ღოგმატიზმისა და ფანატისმის ღობრი, აშკარა არის ჩვენ მიერ ნათქვამის სამართლიანობა. მართლაც, ნაციონალიზმისათვის, სადაც გამეფებული პოლიტიკური ცენტრალიზმი და მასხადამე, გამეფებული ნაციონალიზმი ბატონ-ყმობა, სხვა და სხვა ერის შეუგნებელ თუ ნახევრათ შეგნებულ მუშათა შორის უტყველოთ ამართული კვდელი, რომლის მასხად ნახ-მარია: უნდობლობა, შური, მტრობა, სიძულვილი; ან კვდელს ღუბაბათ გადსახმული აქვს ბურჟუაზიული ნაციონალიზმი. რაღა თქმა უნდა, რომ ამ კვდელს შედარებით სწრაფათ და საცხებით მოსახპობათ, აუცილებელიე სპირია თვით ნაციონალიზმის მოსპობა. და ამ, ავტონომიის დანიშნულბაც სწორეთ ის არის, რომ მან იურიდიულათ განახორციელოს ნაციონალური თანასწორობა. მასხადამე, ავტონომია კი არ ანცალკევებს სხვა და სხვა ერის მუშებს, პირით, მათ ერთმანეთში ახლოებს და განუტკიცებს ძმობა-სოლიდარობას.

ავტონომია მუშებში ძმობა-სოლიდარობას კი არა, მტრობასა სთესავსო, კირვეულობს რ. ა. და კვლავ ჯდება თავის ჯახის ცხენზე: „ავტონომიურ პოლიტიკურ ორგანიზაციამ მცხოვრები მუშები—და მათ აქვ-ზეგნენ ადგილობრივი კაპიტალისტებიც—სშირათ მოით სოვენ ხოლმე, უცხო ერის მუშები არ შემოუშვან ჩვენს ქვეყანაში... უცხო მუშები ღუკმა პურის გავარმევენ, ჰკა მაგათო!“ („იმედი“, № 8)

მაგრამ ასეთ მოთხოვნების, ასეთ ნაციონალისტურ-შოგინისტურ ღოზუნგების წამოყენებაში რომ ავტონომია არაფერ შეუაშია, ამას კარგათ ააშკარავებს თვითონ რ. ა.; როცა მას მოჰყავს შესაფერი მგადლითები პოლიტიკის, ფოთის და ჰაქის მუშათა ცხოვრებლდან; დასახებულ ადგილებში არაკითარი ავტონომიები არ მოიპოვება გვერნი და აქ მაინც გაისმის აღნიშნული „ღოზუნგები“. და ეს არც უნდა იყოს საკვირველი, რადგან ამ უკანასკნელს საუკეთესო ნიადაგი აქვს სწორეთ მასინ, როცა ჯერ კიდევ არ არსებობს ავტონომია. მასინ კაპიტალისტები უფრო ადვილათ იტყუებენ მუშებს ნაციონალისტ-შოგინისტურ ზახზე, რადგან უფრო ადვილათ არწმუნებენ, ვითომ ავტონომია ადგილობრივ მუშებს აძლევდეს შრომის შინაურ ბაზრის მონაპოვას. რ. ა. ირწმუნება, რომ ავტონომიის დროს „მუშების გულის მოსახებათ და მათ ნაციონალიზმზე მისაჯაჰებია, ადგილობრივი ბურჟუაზია ასეთ მათ მისწრაფებას (ე. ი.—არ შემოუშვან უცხო მუშები) სშირათ (ზახს თვითონვე უსვამს) აკანონებს“.

ჯერ ერთი, რომ აღნიშნული დაკანონება სშირათ კი არა, ძალიან იშვიათათ ჰხდება და მეორეც; ეს ყოველთვის თვითონ მუშათა კლასის შეთხებით არის ხოლმე,

რადგან ბურჟუაზია როგორც შეგინშავდით მინა წერილში, და როგორც ელა გვეთანხმება რ. ა., ცხად-ლათ დინტერესებული შრომის ადგილობრივ ბაზარს, რაც შეიძლება, მეტი მუშა ხელი აწყდებოდეს. ბურჟუაზიამ უცხო ერის მუშათა შემოსვლის შეზღუდვა შეიძლება ითავოს მხოლოთ იმ ერთ შემთხვევაში, რომელსაც გავგვანებს თვითონ რ. ა.; სახელდობრ, როცა გარედან მისული მუშები უფრო შეგნებულნი არიან, ვინემ ადგილობრივი, მაგრამ ასეთი შემთხვევა იშვიათი გამონაკლისია; ჩვეულებრივათ კი, მოსული მუშები ადგილობრივებთან შედარებით, დაბლა დგანან ხოლმე კულტურულათ, რისთვისაც ისინი სშირათ აუარესებენ ხოლმე შედარებით დაწინაურებულ მუშების მდგომარეობის ამიტომაც არის, რომ უცხო ერის მუშათა შემოსვლის საკითხი ბურჟუაზიას კი არა, სწორეთ მუშათა კლასს გახდომია თავ-სამტკრევ საქმეთ*).

თუ გვინდა, მუშებს აღნიშნულ საკითხის გადაწყვეტაში თავიდან ავაშროთ „ბურჟუაზიის ნაციონალისტ-შოგინისტური ღოზუნგები“, უნდა ვცვალოთ მათ კლასიურ გათვითნობრივებას. და ამ საქმეში ერთ—ერთი ხელის შემწყობი პირობა კი არის სწორეთ ავტონომია. რ. ა. გვიკითხებს, ვითომ ავტონომია ჩვენ გამოგვეკონდეს „ყოვლის გამკურნავ ელექსირათ“. ეს ხალასი ცლის წამება. თანამედროვე საზოგადოებისათვის ჩვენ ვიცით მხოლოთ ერთი „ელექსირა“, ეს არის სოციალიზმი; ავტონომია კი ერთ ერთი პოლიტიკური რეფორმაა, რომელიც გვიადვილებს ჩენი მიზნისაკენ მსვლელობას, ისე, როგორც ამას გვიადვილებს პოლიტიკური და მოქალაქობრივი თავისუფლებანი. დიახ, ავტონომია ჩვენთვის ერთ-ერთი (და არა ერთათ-ერთი, როგორც ყალბათ თავს გვახევეს რ. ა.) საშუალებაა მუშათა კლასის გაცნობიერებისა და მის ძალთა ორგანიზაციის გასაადვილებლათ“ („ჩვე, კვ. № 18). ამიტომაც, ვითხოვთ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას.

რ. ა. ჩენი სახელის დასაცემათ გაიძახის „ცენტრალისტური პრინციპი—საშინელი ბოროტება; დეცენტრალიზმი კი მესისა—მსხნელია, ამით გვიქვედნ ყურებს ფედერალისტები; ამასვე გვიჩიჩინებს ახლა ჩენი კვალი“ („იმედი“, № 5).

მართალია, სოც.-ფედერალისტები აღიარებენ, რომ ცენტრალიზმი ცუდია, ხოლო დეცენტრალიზმი კარგიაო, მაგრამ ს.-ფედერალისტები აღიარებენ აგრეთვე იმასაც, რომ 2 X 2 = 4 და 2 X 3 კარტოფილის სანთელიაო! მეორეც, ჩვენ არასოდეს არ ვთვთკვამს, ვითომ ასოლიუტურათ ცენტრალიზმი—ბოროტებაა და დეცენტრალიზმი კი განხორციელებული სათნოებააო. ცენტრალიზმის გა-

*) ეს საკითხი მამ. ამერიკაში წელსაც მანიხილა იქაურ სოციალისტურ პარტიამ წლიურ კონგრესსზე, მაგრამ მაინც მკაფიოთ გადაჭრულ გზას ვერ დაადგა და ისევ რბილი რეზოლუცია გამოიტანა. ამის შესახებ იხ. კორესპონდენცია ამერიკიდან „ჩვენ კვლში“

პრინციპება და მის წინაშე ყოველგან და მუდამ გუნდრუს კმევა თქვენი, აზხ. ცენტრალისტების ხელონაა, თქვენზე საქმეა პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის მუდამ და ყველგან დამომა-შეჩვენება. ჩვენთვის კი, როგორც ყველა შეგნებულ მარქსისტისთვის, არ არსებობს არავითარი აბსოლიუტური დებულებანი და გაქვევებული პრინციპები, ზოგჯერ და ზოგან ცენტრალიზში კარგია, ზოგჯერ და ზოგან ცენტრალიზში „დიდი ბოროტებაა“. ასევე ითქმის დეცენტრალიზზე. ამიტომაც ვწირდით ჩვენ: „ყველაფერი დამოკიდებულია დროსა და ადგილის პირობებზე. თუ გვიჩნდა რომ უზრუნველყოფილი ვიყო შედომებისთვის, საქმეს (ცენტრალიზმ-დეცენტრალიზმის საკითხს) უნდა განვიხილოდეთ კონკრეტულად“. (ჩ.ვ. კვ. № 18) და აი, სწორეთ ამ კონკრეტულ განხილვას მივყევით იმ დასკვნაზე, რომ დღევანდელს რუსეთში ნაციონალურ საკითხის გადასწყვეტათ არსებობს მხოლოდ ერთი-ერთი გზ. სახელმწიფოში უნდა გატარებულ იქნას პოლიტიკური დეცენტრალიზაცია, განაპირა ქვეყნებს უნდა მიენიჭოს ავტონომია!

P. S. „იმედის“ მებრესე (№ 14) ჩ.ვ. კვალის „ნაციონალისტურ სულისკვთებებს“ და „სიგლაბეს“ იმით ამტკიცებს, რომ მას ჩვენს ნაწერებში შეხვედრია სიტყვები: „დაზარული ნაციები“ (და არა დაზარული კლასები) „ქართელები“ (და არა პროლეტარიატი) და სხვ. ასეთ წერებებზე „იმედის“ მებრესეს ჩვენ პასუხს არ ვაღიროებთ.

ინტერნაციონალის კრება.

(წერილი ბრიუსელიდან)
(შემდეგი იხ. „ჩ.ვ. კვ.“ № 23).

მორიგ კითხვებში საყურადღებო იყო: სოციალისტურ პრესის მდგომარეობის გაუმჯობესება, ახალი ნაციონალური სექციების მიღება ინტერნაციონალში და ევროპის ეხლანდელი პოლიტიკური კითხვა ჩაყვეთ რიგ-რიგათ.

რაც შეეხება სოციალისტურ პრესას, ყველასთვის ცხადია, რომ სოციალისტური პრესა ღარიბია. დღევანდელ ბურჟუაზიულ ხანაში პრესაც კომერციული ფინანსიური ანტრეპრიზაა; განვითარებულ ტენნიკა გაზეთისათვისაც დიდი ძალაა; გაზეთი იმდენათ იაფია, რამდენაც მისი დაბეჭდვის, აწყობის და გადაზიდვის ტენნიკა გაუმჯობესებულია გაუმჯობესებული ტენნიკა ბურჟუაზიის მონაპოლია, რადგანაც დიდი კაპიტალიც მას ეუფლებს; სოციალისტურ პრესას ასაზრდიებს მუშათა კლასი და ამას კი, მოგესხნებათ, დიდი პატივლი არ გააჩნია. ბურჟუაზიული პრესა მდიდარია ცნობებით საერთაშორისო ამბებზე; მას უკან ყველგან აგენტები, კორესპონდენტები, მის ხელშია ტელეგრაფები, ტელეფონები და სხვა საშუალებები; მუშათა კლასიც დაინტერესებულია თვალ-ყურს ადევნებდეს საერთა-

შორისო მაჯის ცემას: მაგრამ როგორ? სოციალისტური პრესა ღარიბია მატერიალურათ, მაშასადამე, ღარიბია ცნობებითაც. ის ცნობებს იღებს ხშირათ ბურჟუაზიული პრესიდან, მაგრამ ბურჟუაზიული პრესის ცნობები ხან და ხან ტყელია, ხშირათ კი ტენდენციურია. ამნაირათ, სოციალისტური პრესა ორ ცეცხლში იწვის. როგორ გადაწყვიტა ინტერნაციონალის კრებამ ეს კითხვა?

თუ რომელიმე ქვეყნის სოციალისტურ პარტიას ყოველ დღიური ვაზეთი არ აქვს, იქ ბიუროს დახმარებით მიუღებენი უნდა გამოიკვას და სხვა...

მეორე კითხვა — ინტერნაციონალში ახალი ნაციონალური სექციების მიღება. პირველათ ინგლისის ძლიერ მუშათა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ლეიზერმა ითხოვა მიღებული იყოს მისი პარტია ოფიციალურათ ინტერნაციონალურ კონგრესებზე.

„მართალია, ამბობს გლივიზი, ჩვენ არ ვატარებთ სოციალისტურ ეტიკეტს, მაგრამ იმაზე ნაკლებ არ ვემსახურებთ სოციალიზმს, ვინც ამ ეტიკეტს ატარებსო, ჩვენ გვაქვს დამოუკიდებელი ორგანიზაციები ბურჟუაზიისაგან; არჩვენების დროს ჩვენ სოციალისტებს ვაძლევთ ხმას. კაუტკი არ ეთანხმება გლივიზს; სოციალისტურ პარტიისთვის საჭიროა სოციალისტური მიზანი და სოც. საშუალებებიო, ამბობს კაუტკი, „Labour Party“-ის კი არც ერთი აქვს არც მეორე, მას ნათელი პროგრამა აკლიაო. მაგრამ კაუტკის მანც შეაქვს წინადადება, რომ მიღებული იყოს I. p. ინტერნაციონალურ კონგრესებზე, რადგანაც ის **პრაქტიკულათ** სოციალიზმს ემსახურებაო და სრული დამოუკიდებელი მუშათა ორგანიზაციები აქვსო, მართალია, კაუტკის წინადადებას არ ეთანხმებიან ინგლისის ს-დ. ფრაქციის წარმომადგენელი ჰაიდმანი, პეტრბურგელი ლ—ნი და გელისტების წარმომადგენელი ქალი რუსელი, მაგრამ ბოლოს მისი რეზოლუცია მანც მიღებული იქნა და ამნაირათ ინგლისის „I. Party“ ინტერნაციონალურ კონგრესებზე ოფიციალურათ მიღებული იქნა, სიონისტების თხოვან არ შეიწყნარეს, ისინი არ იქნენ მიღებულნი ინტერნაციონალში.

შემდეგ კრება ევროპის დღევანდელ პოლიტიკურ კითხვაზე გადავიდა და ამზე დაახლოვებით შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა:

რადგანაც ინგლისსა და გერმანიას შორის იმპერიალისტურ-კაპიტალისტური ინტრიგებია; მაროკოს ექსპედიცია და სეკულიარია კიდევ გრძელდება; ბალკანეთში უცხოველობის ამბიციები (востоліи) ნაციონალური და რელიგიური შედეგისთვის, რადგანაც სოციალისტური პარტიები და პროლეტარიატის ორგანიზაციები ერთი-ერთი ძალაა ინტერნაციონალურ მშვიდობიანობის დასაცველათ, საჭიროა, რომ ამ უკანასკნელებმა ინტერნაციონალურ ბიუროს დახმარებით ყოველივე საშუალება გამოახონ, რათა ნაციონალურათ და ინტერნაციონალურათ ომს წინააღმდეგობა გაუწიონ“.

კრების შემდეგ ინტერნაციონალური მიტინგი გაიმართა. ბრიუსელის სახალხო სახლის დიდი ზალა ხუთი ათასზე მეტ მსმენელს იტევს; თავმჯდომარეობს ბელგიელი დებრიუკერი; ლაპარაკობენ დებრიუკერი, კაუციკი, ალდერი, ჰინდმანი და სხვები, თორმეტ ორატორამდის (ბებელი, ჟორესი და ვანდრეველი არ არიან ამ კრებებზე). თმა ბალკანეთის პოლიტიკა.

„დიდი კრიზისი დაგვიდგაო, ამბობს დებრიუკერი, ქვეყანაზე ბევრი ახალი ერები დაიბადა; ეს ეროვნების კრიზისია; ეს ნაციონალური ფორმა (პოლიტიკურ ფორმაზე ლაპარაკი, მინერა), რომელსაც ხალხები იღებენ, აუცილებლად საჭიროა მათ განსაზღვრულვლათ, ჩვენ სალამ ვძლევით ამ მოვლენას, რაც მოასწავებს დიდ პროგრესს, პროგრესს, რაც ჩვენ გვიწმინდებს ნიადაგს, სადაც უნდა აღმოცენდეს კლასთა ბრძოლაო.“ შემდეგ დებრიუკერი ვადადის კონკრეტულ კითხვებზე.

მკითხველს ეკლდინება, რომ ამ რამდენიმე თვის წინეთი მცდელობის ბურჟუაზიამ აფრიკის უზარმაზარი ქვეყანა შემოიურთა პატარა ბელგიას. ბელოვის მუშათა პარტია თავ-განწირულათ ებრძოდა მთელი წლის განმავლობაში ბურჟუაზიულ კოლონიალიზმს. გასულ მაისის არჩევნებზე სოციალისტებმა სასტიკათ დაამარცხეს კლერიკლები და სომიერი ლიბერლები; 30 მაგივრათ ბარლამენტში 35 თავისიანდ გაგზავნეს, ანაირი ბრწყინვალე გამარჯვება კოლონიალურ პოლიტიკის საწინააღმდეგო ბრძოლის ნიადაგზე მოხდა. დებრიუკერი განაგრძობს: „როდესაც იქ (აფრიკაში) ჩვენი ბურჟუაზია განსაცდელში ჩაგარდება, როდესაც შავი რასა განვითარების მაღალ საფეხურზე ავა და თავის ნაციონალურ დამოუკიდებლობას შოინდომებს, ჩვენ არ გავუშვებთ ჩვენ სალდათებს იმთ საწინააღმდეგოთ და თუ ერთ დროს ვაფიქვთ, რომ ნერგების აჯანყებამ გაიმარჯვა, ჩვენ აქ, ბრიუსელში ჩვენ სახალხო სახლს წითელი ბაიროლებით შევაკობთაო.“ შემდეგ ილაპარაკეს ალდერმა, კაუციკმა, ჰინდმანმა; აგრეთვე შვეიცის, ბოლგარიის ჩეხის, უნგრეთის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

ჩვენ ვცხოვრობთ საშუაარ დროშიო, ამბობს ალდერი (ავსტრიის ს. დ. წარმომადგენელი), ბოლგარიის დამოუკიდებლობა კარგია, რადგანაც ყველა ერებისთვის საჭიროა თავისი ცხოვრებით იცხოვროს, მაგრამ დიპლომატიის ანაირ ხრიკებს შეუძლია ნიადაგი მისცეს ოსმალეთის კონტრ-რევოლუციას.

რაც შეეხება ბოსნია-ჰერცეგოვინას შემოერთებას ავსტრიასთან, ჩვენ ამის პინციპიალურათაც წინააღმდეგ ვართ, რადგანაც ჩვენითვის აღწენ ხანსაც თავსატეხი იყო ამდენი ერები და ეხლა ახალიც მოგვიმატეს თავსატეხათაო. ასეთივე იყო დაახლოვებით სხვა ორატორების აზრიც. ამასთან, შემდეგი რეზოლუცია ერთბაშად მიღებული იყო: „ინტერნაციონალური მიტინგი, რომელიც შეკრებილია 10 ოქტომბერს ბრიუსელის სახალხო სახელში, კანონიერათ აღიარებს ნაციონალურ ავტონომიებს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ საერთა-

შორისო პროლეტარიატი ყოველივე ღონეს იხმარს მშვიდობიანობის დასაცველათ ერთა შორის და მედგრათ შეებრძოლება კაპიტალისტურ მილიტარიზმს, რომელიც სულს უხუთავს და სწავრავს ხალხებს“.

ინტერნაციონალი „ინტერნაციონალის“ სიმღერით დაიწყო.

მინერი.

სახელმწიფო ღუპა

23 დეკემბრის სხდომაზე ღუპა შეუდგა ცხრა ნოემბრის კანონის გარჩევას. სალაპარაკოთ ჩაეწერა 210 დეპუტატი. პირველი სიტყვა გუუთნის კომისიის მომხსენებელ შილოვსკის. მისი სიტყვა გაგრძელდა სალაპარაკო ხუთ საათამდე.

შილოვსკი დაიწყო თავის მოხსენება იმით, რომ აღნიშნა, თუ რა იყო მიზეზი ცხრა ნოემბრის კანონის სხვა სამიწათ-მოქმედო კანონ-პროექტებთან გამოყოფის ამის საბუთად შილოვსკის მოყავს ის გარემოება, რომ ცხრა ნოემბრის კანონი უკვე ძალაშია შესული, ხოლო სხვა კანონ-პროექტები ჯერ კიდევ პროექტებათ არიან დარჩენილი.

შილოვსკი შეეხო მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლების აგრარულ კანონმდებლობას, შეეხო პირველი ღუპაში პეტრუნ კევიჩის მიერ წარმოთქმულ სიტყვას 61 წ. რეფორმის შესახებ და განაგრძო: „საფუძვლათ უფლებრივ სახელმწიფოს უდგეს თავისუფალი, ენერგიული და დამოუკიდებელი პიროვნება; ეს პიროვნება ჩვენ არ გვეყოლება ისე, თუ არ მივცემთ მას საკუთრების უფლებას თავის ქონებაზე; მაშასადამე, ვისაც ნამდვილათ სურს ჩვენი სახელმწიფო გადაიკეს უფლებები სახელმწიფოთ, მას არ შეუძლია წვიდეს მისის კერძო საკუთრების წინააღმდეგ“. შემდეგ მომხსენებელი ვადადის შრომის ნაყოფიერებაზე და აღნიშნავს, რომ მთელი 45 წლის განმავლობაში არაფერი არ გაკეთებულა ამ ნიადაგზე.

შილოვსკის მოყავს რა ისტორიული მიმოხილვა მიწათ-მფლობელობის სხვა და სხვა სახეთა,—მოდის იმ დასკვნამდე, რომ რუსეთისთვისაც „მოშინური“ მიწათ-მფლობელობა უკვე დაქველგებული ფორმია, დადგა დრო, როცა ჩვენც უნდა მივაძრათ ჩვენს მეზობლებს და გადავიდეთ პირად მიწათ-მფლობელობაზე“-ო.

შემდეგ აღნიშნა რა შეუძლებლობა და მიუღწეველობა ცხოვრების სინამდვილესთან მიწის ნაციონალიზაციას და მუნიციპალიზაციის თეორიას, მომხსენებელი შეჩერდა მიწის იძულებით ჩამორთმევაზე. მოდის რა იმ დასკვნამდე, რომ შეუძლებელია მიღებულ იქნას მიწის იძულებითი ჩამორთმევა, შილოვსკი ამბობს, რომ რუსეთის დღევანდელი პირობები არ არის განსაკუთრებული, ასეთი პირობები უკვე გაიარეს სხვა სახელმწიფოებმაო. დასასრულ მომხსენებელი ამბობს: „ცხრა ნოემბრის კანონი საშუალებას მისცემს თითოეულ მიწათ-მფლობელს შემომქმედ ძალას ფრთა ვაშალოს. საჭიროა მხოლოდ ამისათვის სასურველი პირობები შექმნათ, და მაშინ თვით ჩვენ გავკვირდებით და სხვისაც ვავაყვრებთ იმ სწრაფი ტემპით, რომლითაც ჩვენ წავლეთ და დავეწვეით ყველას მასში, რაშიაც ეხლა ჩამორჩენილი

ვართ“. შიღოვსკემ დაასრულა სიტყვა. შემდეგ ილი-
პარაკ ებ. **მიზნოვნა** და **კროპოვცა**. პირველი
მემარჯვენეთა სახელით მიემხრო მომხსენებლს, ხოლო
მეორე წინააღმდეგია.

სხდომა დაიხურა საღამოს 6 საათზე.

24 ოქტ. სხდომა.

კამათი ცხრა ნომბრის კანონის შესახებ. თავ-
მჯდომარე მოახსენებს ღუმის, რომ მიწისტრია საბჭოს
თავმჯდომარემ შამოიტხა დაამტკიცა 9 ნომბრის კანო-
ნი და წინააღმდეგს იძლევა ვადსცენ კომისიას. იმარ-
თება კამათი, ბოლოს, ხმის უმეტესობით დაამტკიცა ლე-
ბულობენ და ვადსცემენ კომისიას. ლაბარაკობენ: რო-
ჯოვი, შინგარიევი, გემეკური და სხ. მათი სიტყვა
შეიცავს მომხსენებლის კრიტიკას. **გემეკური** ამბობს,
რომ გაბატონებული კლასები უკუვილით სარგებლობ-
დენ „ობშინით“ თავის ინტერესებისთვის და ეხლანდელ
სამიწ. მფლობელი კანონმდებლობაშიც ცხადია, დარ-
ღვეული იქნება გლეხობის უმარავლესობის ინტერესები.

შემდეგ გემეკური არჩევს, თუ რა ვაუქცებია შთა-
გრობას გლეხების სასარგებლოთ და ასენის, რომ თუ ეს
ლო შთავგრობას სურს „ობშინი“ ვაუქცება, ეს მხოლოდ
იქნება, რომ გლეხთა არეულობები მის ვაუქცეული
გერონი გლეხთა კომუნისტური სულის კვეთებით, ხოლო
ამ უკანასკნელს კი „ობშინი“ შედეგად სცნობს.

სოციალ დემოკრატების აზრით,—ამბობს გემეკური—
გლეხებმა უნდა მიიღონ მიწა უსასყიდლოთ ჩაბრათმევის
საშუალებით, მათი უფლებებმა უნდა ვაუქცეს მის
საზოგადოებრივ და პირად ცხოვრების დემოკრატიზა-
ციით და მოსპოს წოდებრივი ურთიერთობა... **ობში-
ნი** უნდა იყოს თავისუფალი, ნებაყოფლობითი კავში-
რი თავისუფალი. ავტორული კითხვას გადასწყვეტათ
სოც. დემ. ურეკცია სტენოს საქორის (მა: ბოპეგს)
უარყონ ცხრა ნომბრის კანონი და გადავიდენ მორიგ
საქმებზე“ შემდეგ, 9 ნომბ. კანონის დასაცველათ
ლაბარაკობს გრძელ სიტყვას შინ. საქ. შინ. აზ. ლუ-
კოშინი.

27 ოქტ. სხდომა.

რამდენიმე წვრილმან კანონ პროექტების გან-
ხილის შემდეგ ღუმე ვადის ისევ 9 ნომბრის კანო-
ნი. ლაბარაკობენ მოწინააღმდეგენიც და მომხრენიც.
სხვათა შორის ვრ. **უვაროვი** ეხება შინგარევის სიტყვას
და ამბობს: დანაშაულობა ის, რომ ისეთი საყარადლე-
ბო კან. პრ., როგორც არის 9 ნომბ. კანონი, აქნამ-
დის გაუარეველი დარჩაო. უვაროვი ამაში ბრალს სდებს
არა მთავრობას, არამედ მეორე სხ. ღუმეს.

29 ოქტ. სხდომა.

გრძელდება კამათი 9 ნომბ. კანონის შესახებ.
ლაბარაკობენ თავ. ვოლკონსკი, გრ. ბობრინსკი, რო-
ლინევი, ბობრინსკი 2, მომხსენებელი შიღოვსკი, პე-
ტროვი მე-3 და სხ. ამათან 9 ნომბრის კანონის წი-
ნააღმდეგ ლაბარაკობენ მხოლოდ როლინევი და პეტრო-
ვი. უკანასკნელი თავის სიტყვას ვიღარ ასრულებს, რა-
დგან საქმე არიციების დაუსწრებლობის გამო, თავმჯდო-
მარე იძულებულია სხდომა დახუროს.

სხვა-და-სხვა ამბები
ჩ ვ ე ნ ი

26 ოქტომბრის სხდომაზე სახალხო უნივერსიტე-
ტის გამგეობამ დაადგინა სთხოვის ქალაქის გამგეობას,

დროზე ჩიბაროს ზუბალაშვილის სახელობის ს სახლ-
სახლი და დაჩქაროს მისი ვათობა-განათება, რომ შე-
საძლებელი დარჩეს შიგ ლექციებისა და წარმოდგენე-
ბის მართვა.

➤ თბილისში შემდგარა ინტელიგენტთა წრე. წრე
არჩებს: ქართულ, სომხურ და თათრულ ენების კურ-
სებს იმ რუსთათვის, რომელიც ამ ენის შესწავლა
უნდათ.

➤ 27 ოქტომბერს ბათუმში გახსნეს სასწავლებე-
ლი მაჰმადიანთათვის. სკოლაში ჯერჯერობით ოცი ბავ-
ში შესულა, ამათან 6 ქალი. მასწავლებლათ მიუწვე-
ვიათ შურკი-ფენდი ვარშინიძე

➤ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო
სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მოიწვიოს თბილის-
ში 7—15 დეკემბრამდე კავკასიის სოფლის მეურნეთა
კრება.

➤ დღეს, ორ ნომბერს, თბილისის საკრებულოს
დარბაზში, რუსულ ენაზე, წაითხაეს ლექციის **ლენინ-
ციკლი უნივერსიტეტის სტუდენტი მ. წულუკიძე** შემ-
დეგ თამაზე: „უშთავრეში მიმართულებანი თანამედრო-
ვე ხელოვნებაში“.

ქ უ თ ა ი ს ი.

ორშაბათს, 27 ოქტომბერს ილიას ფონდის გახა-
ძლიერებლათ გამართულ საღამომ ჩინებულათ ჩაიარა.
ხალხი ბლომათ დაესწრო. მოსწავლე ახალგაზღობას
კი, რაღაც მიზეზების გამო, წაკლებათ ვეცადეთ ამ
საღამოს. მგონის, დაფნის გვირგვინებით შექცულ, სუ-
რათან ლექსი წაითხა ს. ხუნდაძემ, თუთბერიძემ,
და ნ. ერისთავმა. ხალხი ვაახალისა მ-ნ იონა მუშენარ-
გაის მიერ ილიას შესახებ „ნახულ-გაგონილი“ წაკით-
ხვამ. შემდეგ „კაცია-ადამიანი“ დან, გრიშენი, წაითხა-
ხეს ზოგიერთი ადგილები. კრება დაახასიათა მ-ნ შა-
ლიკაშვილმა ლუარსაბ თაუქარიძე, ვავახიშვილისამ—
დარეჯანი და ქ-ნ ქავთარაძისამ მათი რძალი. გრძო-
ბიერთა წაითხეს ქ-ნ დავითაშვილისამ და ნ. ერისთავ-
მა ილიას ლექსები. დიდებული სანახავი იყო, დასა-
სრულ, აპოთეოზი. ილიას სურათი გარშემორტყმული
იყო მისი ნაწარმოების სხვადასხვა ტიპებით: ილიას სუ-
რათის მაყურებელი საზოგადოება დეფხე ადგილი მიეცე-
ბა. ხალხი ძლიერ ეხაყუფილი დაეშალა. საღამოს მომ-
წესრიგებულნი მადლობის გიორი არაან.

➤ გვეწვია ქ-ნი იავოსკაია თავის დასით. ითამა-
შეს ისტენის „გვდა-გამბლენ“.

➤ 28 ოქტომბერს ადგილობრივ საგუბერნიო ცი-
ხეში ჩასვეს ლენინიდან ჩამოყვანილი 13 გლეხი. მათ
სხვადასხვა დანაშაულობა ბრალდებათ.

➤ 28 ოქტომბერს, დილის 11 საათზე ვილაკაები
თავს დაესვენ რეალურ სასწავლებლიდან ხაზინაში მი-
მავალ, იმავე სასწავლებლის ზედამხედველ ნ. კიკინა-
ძეს. წაართვეს 2800 მანეთი. მძარცველნი მიიძალენ.

➤ 24 ოქტომბერს, თფილისის სამოსამ. პალატის
ესსიამ განიხილა, ამას წინათ გადადებული ის. კვი-
ცარიძის საქმე. დადგინდა 1905—1906 წ. თავის
მღაზიაში აკრძალულ ბრძოლაშითა გაყვიდა. პალა-
ტამ ბრალდებულს **ერთი წლით დატუსდება მიუ-**

საჯა. კვიციანიძე საქმის სენატში ასაჩივრებს. ბრალდებულს იცავდნ ნათიცი ვეკილიძე: ა. საყვარელიძე და ი. კახუაშვილი.

შეცდომის გასწორება: ამას წინათ მოხსენებულ იქნა, რომ მასწავლებლთა და მოსწავლეთა შორის რვა-ღურ სსსწავლებელში დამოკიდებულების განწვევების მიზნით **ფრანგული** უნაშ მასწავლებელი აქვს. ნამდვილი კი საქმის განწვევების მიზნით აქვს **გერმანული** უნაშ მასწავლებელი და სხვაგვარად მოსწავლეთა უკატეგორიო მოქმედება.

შემთხვევით ამ ლ'-ში ტეხნიკურ მიზნების გამო ვერ იბეჭდება „რუსეთი“, „საარსეთი“ და „ზალკანეთი“.



მნათობათა ჩივილი

(დასასრული)

კობაძე ცისკარმაც თავი მოისასტიკა. წყრომის ნიშნით ძირს დაშვარა თავისი შუქი და სხივების ნაწი, შეუმჩნეველი წყრილა ხმით მიუბრუნდა მზეს:

— შენ არ შეგაწუხებდი ლაყვარლოვანო! რომ შემს-

ლებოდა, მე თვით მოგსობდი! დედამიწის არსებობას.

მნათობნი.

- ყოჩაღ ცისკარო!
- ყოჩაღ ლამაზო!
- უფრო გამბედავით!
- უფრო რიხიანით!

ცისკარი.

— რაღა დედამიწა, როცა იქ აღარ ჰყვავის, აღარ სურნელოვანობს სილამაზე, არ იფურჩქნება მშვენიერება და ყოველი გვაირი სიწმიდავე, სიფაქიზე შელახულია, ტალახში ამოსვრილი, სამკაულ ჩამოცლილი და ფას დეკარგული?

მაშ მე რაღა ვუყუროდ დამიწას? ის ხომ ვეღარ აფასებს ჩემს სილამაზეს, ჩემს სისხტაკეს?

რამდენი ხანია ჩემ სხივებს აღარ უხილავა ჩემსკენ ოცნებით მოპყრობილი თვალეზი...

რამდენი ხანია ჩემ სილამაზეს ერთხელაც აღარ მოუჯადოებია დედამიწა და მაშ რაღა ვუყურო მე მას?

შეო, დამიხსენ დედამიწისგან!

ამის შემდეგ აღარ ვახარებ ხოლმე მიწას შენ დღებულ ამოსვლას. აღარც მოვეუდენ ხოლმე საღამომობით ტკბილ, სანეტარო ძილს. მე შემეზიზნია დედამიწა! შემეავღა იგი!

მნათობნი.

- ზიზღის ღირსია დედაიწა.
- ზიზღის ღირსია!
- ზიზღის ღირსია!

ჩქარა გამოჩნდა მერკუნიც.

მიტკრილადა მზის წინ და მოახსენა:

— დიდებულო მზეო! საბრალო დედაიწა შეე დღეს განიცდის. სიბნელით მოცული, გზა აბნეული სისწრაფით ჩიეტანება საღლიც დროსა და ადგილის ვარევე მურფ წყვილიდ-ში და ჩქარაიც ვადა. ჩიეტება საღმე სამყაროს უფსკრულში, ან არარაობაში.

მნათობნი.

- მისი გზაც იქ არის.
- ეგრე ეკუთვნის!
- ახია მახედ!
- ახია მახედ!

მ ზ ე .

— მნათობნო! დავიხსნათ დედამიწა და-ლუპვისგან.

მნათობნი.

- დაე, დაიღუპოს!
- ის ღირსი არის დაღუპვის!
- ის ღირსი არის არარად ქმნის!
- ის ღირსი არის არარად ქმნის!

მ ზ ე .

ოო, სხივონებო! ცოტახანს მიინც დამიდგეთ ყური! მეც აღარ მასოგეს თუ რა ხნადან ვზარდი და ვმავგობ ესლა ყველასგან განწირულ დედამიწას.

რამდენი სიბოძო, რამდენი სინათლე, რამდენი ძალა დამხმარჯია მე მასდ.

ჩემის დაუზოგავი სხივებით როგორ ვნახებდი, როგორ ვაშფუქნიერებდი, ვამდიდრებდი და ვაცხოველებდი მას!

რამდენი ამაგი მაქვს დახარჯული მასზედ, რამდენი! თქვენც უნდა გახსოვდეთ და დროც მოწმე. დრომ თანხმობის ნიშნით დიდებულათ ჩამოისვია წვერზედ ხელი და თავი ჩალუნა.

მ ზ ე .

— ოო მნათობნო, ულამაზესნო, უკელუცესნო, უღმობიერესნო! დავისნათ დედამიწა არარად ქმნისგან! შეუტრივდი მას; ნუ მოგუსჯობთ უდროვოთ ხანმოკლე სიკაცხლეს! ნუ დავარღვევთ ამით ქვეყნიურ, დიდებულ ჰარმონიას!

მნათობნი.

— შეიძლებადა მზის ხათით.
— მზის პატივისცემით.
— მზის სიყვარულით.
აქ მოაწყენილმა სატურნმაც ამოიღო ხმა და ამით მის სხივებმაც სიხარულით იწყეს ციმიციმი.

— მნათობებო, დროს დავეითხოვო!
თუ ის კიდევ იკისრებს დედამიწის ტარებას, მაშინ ჩვენც შევესრულოთ დიდებულ მზეს ეს ერთი თხოვნა.

დ რ ო .

— თუ თქვენ აიტანთ დედამიწის სასიზღრობას, ულაზათობას, გათახსირებას, მაშ მერ ავიტან. მე შევეჩვიე მოთმინებას და სულ-გრძელობას.

ციხკარი.

— დაე, იმან აღადგინოს სილამაზე, სიწმიდავე და მეც შევეურიგდები!

მ თ ვ ა რ ე

— დაე, იმან აღადგინოს სიყვარული, ნეტარება, სიხარული და მეც შევეურიგდები!

შუქურ ვარსკვლავი.

— დაე, იმან აღადგინოს სიმდიდრე, სიდიადე, სიამაყე და მეც შევეურიგდები!

ს ა ტ უ რ ნ ი .

— დაე, იმან აღადგინოს პატივისცემა, მეგობრობა, ჩვენი ნათესაობა და მეც შევეურიგდები!

მნათობნი.

— დაე, ჩვენც გვემდგეს პატივს და შევეურიგდებით!

— დაე, ჩვენც გვესიყვარულებოდეს!

— დაე, ჩვენც გვეტრფოდეს!

— დაე, ჩვენზეც ოცნებოდეს!

მ ზ ე .

— გასწი მერკურო და უბრძანე მნათობთ სურვილი, თუ ჰსურს დაიხსნას თავის თავი განსაცდლისგან და თანახმა შევარულოს მნათობთ მოთხოვნა, მაშინ უთხარო გამოცხადდეს ამ წამსვე ჩვენ წინ და მოეხადინოთ შერიგება სამყაროს შვილთა!

გაპქრა მერკურო.

მთ მოლოდინში მნათობებმა გააჩაღეს მუსიკა და გალობა. ცისკარმა, შუქურმა და სხვებმა სიმებათ მის-თავაზეს თავიანთი სწორე და ნაზი სხივები, მათზე კი საოცნებოთ ააქლერეს ჰანგები თავიანთი მოციმიციმე, სხვადასხვაფერათ მოელვარე სხივებით სირიუს-ბეტელგეიზემ, ტუუებმა და სხვებმა და მათ მოძახილს ეუბნებოდენ ანგელოზები და ვაეროსნები.

ჩქარა დაბრუნდა მოციქული მერკურო.

უკან მოსდევდა დედამიწა.

ყველა მნათობებმა თავიანთი ნათელი სახე მიაპყრეს დედამიწას. მასაც თითქოს სცხვენოდა მათის შუქმფენი სხივების და მოუსვენრათ ტრიალობდა.

ხან ერთ გვერდს შეაქცევდა მნათობებს და ხან მეორეს.

დედამიწა.

— ო, მნათობებო, უკეთილესნო, სათაყვანებო, პატივისცემნო! თქვენ დამისენით არარათ ქმნისგან.

მიტოვებულმა დროსგან, გატყორცნილმა სივრცისაგან, მოშორებით მე ვანვიცადე ძრწუნვა და შიში არარაობისა და უთავებლო წყვდიადისა...

ელა თქვენი წყალობით შემეძლება ახალათ ესტკებოდენ თქვენის სილამაზით, თქვენის მშვენებით და მეც ვეცდები ამიერიდან თქვენ კეთილ სურვილს მეც ვაგებებდე წინ ჩემს სიხარულსა და თაყვანებას...

მ ზ ე .

— გამადლობთ, სხივოსნებო, რომ ქვეყნიური ჰარმონია არ დაარღვიეთ დედამიწის დაღუპვით.

მაშ გადავკოცნოთ აწ დედამიწა და დავეულოკოთ მის ახალი გზა.

მნათობნი.

— გაუმარჯოს ჰარმონიას!

— გაუმარჯოს დედამიწას!

— დღეგრძელ იყვეს მზე!

— დაე, უკეთესათ ანათებდენ ყველას სხივები!

— დაე, უფრო ათობოდეს ყველას სინათლე!

— დაე, უფრო ლამაზებოდეს ყველას სიმშვენიერე!

ნაზის სხივებით მაგრათ ჩაეკვანძენ ერთი-ერთმანეთის ტურფა მნათობები.

კარგათ დაპოკენეს დედამიწაც თავიანთი სილამაზით, თავიანთი სინათლით და გასწიეს თავთავიანთ ადგილზე.

დედამიწასაც შემოუქნია ფრთა დრომ და გააქანა ძველ სამფლობელოში.

მიპქროდენ მნათობები აქეთ-იქით და თან სალამს უძღვნიდენ ერთი-ერთმანეთის ეთერთან მოცქარილე ნარნარა სხივებით...

მიწაც განაგრძობს თავის ძველ მგზავრობას.

მზეც უხვათ უგზავნის ისევ თავის სიბოძო, თავის სინათლეს.

ციხკარიც ხშირათ დახვდადეს ხოლმე საძილოთ გამზადებულ ქვეყანას, ან მზის მახარობლათ მოველირება

ხოლმე მის და აოცებს ქვეყანას თავის სიტურფით, თა-ვის მიმზიდველობით.

მერკურიც ისევ ძველებურათ ეკეკლუტება დედა-მიწას: ხან წინ გადაღუბტება, ხან უკან და ისე ატარებს თავის დღეს.

თუ მზე აძლევს დღეს, მთვარეც უნათებს ღამეს და დამხარის მას.

ვასკლავებიც დასციმიკმებენ ნეტარებით და სწამთ, სწამთ ყველას, რომ დედამიწა შეასრულებს მათი თხოვნას, მათ სურვილს..

ლევ. მებრეველი.



მეყვარები, თუ რომ იცი, რაა მოთქმა, ტანჯულთ კენესა. თუ რომ იცნობ ბედისაგან დაჩაგრულს და მწუხარესა.

მეყვარებო თუ რომ იცი, როგორ ერთის ღმერთსა-შეგებას, სისხლი--ცრეწოსა, მოთქმა -სიცილს და ვებუა მწუხარებას.

მეყვარები, თუ წინ მიხვალ, გსურს დაღწეო ბარკილები, გზას გინათებს მტკიცე რწმენა და აღსავსე იმედები.

თუ სიმართლეს თანაუგრძნობ, მძობის დროშას ეზიდები, მისთვის ტანჯვა არათ ვიჩანს, მხოლოთ მაშინ მეყვარები...

ლ. ესმაშვილი.

მ ე ფ ე შ ი მ შ ი ლ ი

(თხზ. ლეონიდ ანდრეევისა)

წარმოდგენა ხუთ სურათად, პროლოგით, პ რ ი ლ ო ვ ი

მეფე შიმშილი ერთგულებას ფეიცება მშვირთ. **სურათი პირველი.**

მეფე შიმშილი ასაჯანყებლად იწვევს მომუშევართ. **სურათი მეორე.**

მეფე შიმშილი ასაჯანყებლათ იწვევს მშვირთა ბრბოს.

სურათი მესამე.

მშვირთა გასამართლება.

სურათი მეოთხე.

მშვირთა აჯანყება და მეფე შიმშილის ღალატი.

სურათი მესხუთე.

მშვირთა დამარცხება და გამარჯვებულთა შიში.

პ რ ი ლ ო ვ ი

მეფე შიმშილი ერთგულებას ფეიცება მშვირთ.

ღამეა. ძველის ტაძრის სამარეკლოს გუმბათი. იმის უკან--ქაოლაქის ღამის ცა; ქვემოდან შეგნათის ქუჩის

სანათების გამსქვირავლე სინათლე. ზემოდან თანდათან იღრუბლება; ტყევის ფრად ხდება და მძიმე ჯანყად ჩამოდის. საცა ცა ნათელია, იქ აშკარად და გარკვევით, თითქო შავის კარდონისაგანა გამოკრლიოა; მოსჩანს შავი სვეტები, სტრაფილები, ზარები და ეკლესიის გუმბათის მოაჯირი. კოშკის ძირს შავათ მოსჩანს გაურკვეველი აჩრდილი ეკლესიის ბანისა, რაღაც მიღებისა, რომელნიც ადამიანის უძრავ ქანდაკებასა ჰგვანან და რომელნიც თითქოს ათვლიერებენ და ყურს უგდებენ ძირს რასმეო. მხოლოთ ზოგვან ამ სურათზე მოსჩანს უკმა ნათელი ქალაქის სანათურებისა. მკრთალად ციმცი-მებენ სამრეკლოს მიხეველი-მოხვეული გვერდები, ყვით-ლად მოსჩანს სვეტების მომრგვალებული კიდებები. ან-გელოსის ქანდაკებას, რომელიც ხელგამწილი გადმოშე-ბულია ქვემოდ, მკრთალათ განათებული აქვს სახე, გულ-მკერდი და ფრთის ბოლოები.

სამრეკლოს კიბის მოსახვევებზე არიან სამნი: **მეფე შიმშილი, სიკვდილი და ძველი დრო--მრეკელი.**

სიკვდილი დგას სრულიად უძრავათ, პირი მობრუნებული აქვს და იმისი შავი აჩრდილი ასე ისახება: პატარა, მრგვალი თავი გრძელ კისერზე, საკმაოთ განიერი, ოთხკუთხი მხრები. ყველა ხაზები სწორი და მშრალი. სიკვდილი გახვეულია სრულიად შავს, მსუბუქ წამოსასხამში, რომელიც მაგრათა აქვს შემოხვეული. მსუბუქ ქსოვილს შიგნით ემჩნევა და თითქოს კიდევ მოსჩანს ჩონჩხი. თითქმის ასევე უძრავათაა და ხანდახან თავს აწვევს **ძველი დრო**. თავი იმას ღიდი აქვს, უშვე-ლებელის აბურბუნის, ბებრულის წვევებით და თმე-ბით. პროფილზე მოსჩანს სიავის გამოშხატველი ღიდი ცხვირი და ჩამოფხატული, ბანჯღვლიანი წარბები.

მეფე შიმშილი მოძრაობს მოუსვენრათ და ცხარედ ისე, რომ მწელია იმის ფიგურის მოყვანილობის აღნი-შენა. ეტყობა მხოლოთ, რომ იგი მაღლის ტანისაა და მოქნილია.

ლაპარაკობენ **დრო-მრეკელი, მეფე შიმშილი და სიკვდილი.**

— შენ კიდევ მოგატყუებ, მეფე შიმშილო. ჟეკე რამდენჯერ მოგატყუილებივართ მე და შენი საწყალი შვილები.

— მერწმუნე, მოხუცო.

— როგორ ვერწმუნო მატყუარას?

— ამ ერთხელაც დამიჯერე. მხოლოთ ერთხელ კიდევ მერწმუნე, მოხუცო. არასოდეს არ მიტრუები. მე თითონ ვტყუვდებოდი. უბედური მეფე დამზობილ ტახტისა, მე თითონ ვტყუვდებოდი. შენ ხომ კარგად იცი, რა გაიმეგრა, ცრუ და მოხერხებულთა ადამიანი, მე დაღუბე ჩემი საცოდავი შვილები, მათის გამხმარის მძორით ვასაზრდავები და სიკვდილს...

ხელს მოუშვერს **სიკვდილზე**. ჩვეულგბრითა უძრავი სიკვდილი, სიტყვას აწყვეტინებს გრილა, ცივისა და მეტად დამშვიდებულის ხით; თითქო შუალამისს ღიდის ხნის გაუღებელია ძველმა, დაეჩაგულმა ალაყაფის კარებმა დივირიალა:

— დიახ, — მაგრამ მე კი ჯერ მძღარი არა ვარ.

დ რ ო.

— შენ არასოდეს არა ხარ მძღარი. რამდენი შეგეპატი ჩემს თვალწინ და მინც გამხდარი და უძღები ხარ.

მეფე შიმშილი.

მაშ ეხლა მივცემ უფრო ნოყიერ საკმელს. ეყო თოჯნე მიბმულ ძაღლივით ძველების ღრღინა— ეხლა თამამად იქიფოს ჯანმრთელ, მსხვილ და გასუქებულზე, რომელთა სისხლი ისე წითელია, სქელი და გემრიელი. **სიკვდილო,** ხელი მომეცი და მადლობასაც შეტყვი— შენს პატრისაცემად დღესასწაული გაიმართება.

სიკვდილი ხელს არ აძლევს, იმავე ქრიალა ხმით ლაპარაკობს:

დიახ, — მაგრამ მე არასოდეს მადლობას არ ვამბობ.

დ რ ო.

სტყუი, მეფე შიმშილი!

მეფე შიმშილი.

შეზხედე ჩემს სახეს— განა საშინელი არ არის ესა. შეზხედე ჩემს თვალებს— ბნელია? დინახავ როგორ ბრიალებენ ეს თვალეზი; სისხლის დახანთზე აჯანყებისათვის დადგა დრო, მოხუციო! დედამიწა მშვირია. იგი აღსავსეა კენესა-ვაგებით, იგი აჯანყებას იმუქრება. დაკარ შენს ზარს, მოხუცო, თავამდე გააპე იმის სპილენძის პირი! დაე; ნუღარა სძინავთ, ნუ იქნებიან მძინარენი.

დ რ ო, ყოყმანით:

მართლაც, როდესაც დამე მოატანეს და დრო მკუდროვებით იმოსება, იქიდან— ქვემოდან— მოისმის სუსტი კენესა... ზეშეშების ტირილი...

მეფე შიმშილი ხელს ვიწოდებს ქალაქისკენ:

ეს იქიდან, შეწვენივლ ქალაქიდან.

დ რ ო თავს იქნებს:

არა, კიდევ უფრო შორიდან. დედა-კაცთა ვეება, მოხუცთა ხრიალი, მშინერ ძაღლთა ყმულილი...

— ეს იქიდან— მინდერებიდან, მომაკვდავ სოფლებს ბის გულის სიღრმიდან!

— არა, კიდევ უფრო შორიდან, კიდევ უფრო შორიდან... თითქოს მთელს დედამიწის კენესა მესმის და ეს ძილს მიკითობს. მე მოხუცი ვარ, დავივლივ, ძილი მჭირია და ესენი კი არ მახევენებენ. **სიკვდილი** მენატრება. **სიკვდილო,** ჩემო ძველო ამხანაგო, როდისლა წაიბიყენ?

სიკვდილი სდუმს და ძველი **დრო** ჩაჰქინდრავს თავს (ნიკნеть голову).

მეფე შიმშილი.

ჩამოკარ ზარს! მეც ასეთივე უბედური ვარ, მეც ასევე მენატრება, **სიკვდილი.** უბედული ჩემო შეიღებო— მინდოდა ძლიერთა სამეფო შემექმნა, მაგრამ მხოლოდ მკვლელთა, უგუნურთა და ცრუთა სამეფო კი შევექმენ. მე მეფე კი არა, საცოდავი მაჩანჩალა ვარ, ხოლო ჩემი გვირგვინი, ჩემი დიდებული სისხლის გვირგვინი— სი-

თამაშოა იმითის ზეშეშებისა. ვასწყვიტე ისინი, დროვ, ჩამოკარ შენს ზარს! ჩამოკარ!

დ რ ო.

შენ ერთ დროსაც მეუბნებოდით ამის და მომატყუე.

მეფე შიმშილი.

მაშინ მე თვითონ ვეჭვობდი.

— ეხლა?

— შეზხედე ჩემს შეიღებს! ჰკითხე სიკვდილსა, ის არასოდეს არ ცრუობს. აქამდე მონა-მორჩილნი, ეხლა ისინი უსოზო აღშფოთებით, წყევლა-კრულვითა და რისხვით ეგებებიან სიკვდილს!

სიკვდილი იმავე ცივისა და დამშვიდებულის ხმით ლაპარაკობს:

ჰო— ცოტას კი მეურჩებიან ხოლმე.

მეფე შიმშილი.

მომეცი შენი ხელი, **სიკვდილო!**

სიკვდილი ხელს არ აძლევს და სდუმს. სიჭუნეა. სამრეკლოზე ღაისს წყვილიაში წელისა და გლოვის ხით ჰრეკავს სათით. **დრო** ყოყმანით ლაპარაკობს:

თანდათან ვრწმუნდები: ისე მწყურია მოსვენება— **სიკვდილი.**

მეფე შიმშილი:

მაშინ დრო აღარ იქნება! ო, საყვარელო ზარო, შენ მოგიტან მოსვენებას და მშვიდობას! ნება მომეცი, ჩემი დაქანცული თავი შეგახო აღერსით.

ეალერსება ზარს: ნახათ ევაზობრება იმის მრუდე მკერდებს. მერე ჩუმთ ანიშნებს, ვითომ ჰრეკავს. **სიკვდილი** მისჩერება და ჩუმთ, ცივის ნაწყვიტ-ნაწყვეტის სიცილით ხარხარებს.

დ რ ო.

იცინი, **სიკვდილო.**

სიკვდილი.

ჰო, — ცოტას.

— გახარებული ხარ? თუ დასცინი ჩემს ნდობას? მაგრამ იმის სიტყვებში სიმართლე არის, ზარმაც იცის ესა. დამე, როცა ვევაფერს სძინავს, და მხოლოდ დაღლილ-დაქანცული დედამიწა ჰკენესის, ამის მკერდებიდან მოისმის წყნარი გრიალი, შეუწინეველი, სუსტი წყრალი. თითქო ათასი უჩინარი ხელი ესება, ვალერსება და ეკითხება: კიდევ შერჩა თუ არა სპილენძს ხმა. საშინელეზა, დამით სამრეკლოზე ყოფნა იმ დროს, როდესაც ქვევით ქალაქი დაუშრეტელ სინათლით ლაპლაპებს, ხოლო დედამიწა კი მძიმე ტვირთ ქვეშ ჰკენესის. გამესის?

ყველანი ყურს დაუგდებენ. **მეფე შიმშილი** განშორდება ზარს და ისმენს ხელზე გაწვილილი. წყნარის, წყრიალა ხმით დიხზრიალებს ზარს და გაჩუქდება.

სიკვდილი.

დიახ— ცოტათ ჰრეკავს.

მეფე შიმშილი.

გესმის! დედამიწა აჯანყებას თხოულობს. დაეშურე, მოხუცო!

დ რ ო.

ასეა ყოველ ღამე. რა ძნელი ამისი მოსმენა.

— ჩქარა ვაივინებ სხვა ხმასა. ამ ხმაში გამოითქმება რისხვა.

— და ტუივილი.

— არა, რისხვა, რისხვა! ტუივილი ყოველთვის ბევრი აქვს ქვეყანას. რისხვა, რისხვა, მოხუცო!

საღლატ ქვემოლ, განათებულ სიღრმეში, სამჯერ მოისმის გაქიანურებული, ხრინწიანი ხმა ნალარისა. დაბალის ხმით იწყება და მაღალ ჰანგზე გადასვლის დროს ნელა სწყდება. სევედიანი და სახარელი მოწოდება გამოისმის ამ ხმაში.

სიკვლილი.

მე მეძახიან,

გაპქრება. ერთხანს სიჭუჭუე. ქალაქის უჩინარი სანთლები ცოტაოდნით იბრციებიან, ბნელდებიან. ერთის მხრიდან, მალლით, უხმო თამაშისა და რხევას იწყებს მოწითალო ცეცხლის ალი. ეტყობა, საღლატ, ქალაქში ცეცხლი გააჩინეს.

დ რ ო.

სიკვლილი წავიდა.

— დაუძახეს.

— არა, მითხარი, რისთვის მომიკლა მაგან ჩემი მტრები? ამ სახლის ქვერზე ცხოვრობდა მტრები, დატყაპუნებდა თუნუქის სახურავზე და მახარებდა,—მაგან მოპკვლა,

მეფე შიმშილი ხმაპალა იცინის.

დ რ ო.

რა გაიცინებს?

მეფე შიმშილი.

ისე, მე ძალიან მიყვარს ისა.

— შენ იცინი და მე ისევე, არა მწამს რა შენი. ეს-ლა ხომ მარტო ხარ,—მაშ მართალი სთქვი, მეფე შიმშილი. შენ დიდებული მოღალატე ხარ, ცრუ ყველას წინაშე, აქებზე და იწყებ ხალხს უგუნურ მოქმედებისაკენ, ხოლო მე რე კი დასცინი იმით. მაგრამ ვხლა?

მეფე შიმშილი გახარებული, გაბედული ამბობს:

— ვფიცავ.

— შენ გამარჯვებინებ მშვიერთ?

— ვფიცავ.

— და მეც მომანიჭებ მოსვენებას?

— ვფიცავ.

დრო ამოიხრებს.

მე მჯერა შენი და მეც ზარს ჩამოვკრავ, როცა შენ ამას მისურვებ.

— ეს ჩქარა იქნება, დავიღალე.

— მეც დავიღალე.

ულინოდ გადასდებს მოხუც თავს ქვის მოაჯირზე. გაძლიერებული ცეცხლი წითლათ გააშუქებს იმის ქალბარა თმასა და მოაჯირზე გადადებულს, გამხმარ გრძელ ხელს; **მეფე შიმშილიც** ასევე დაქანცული ჩაუდგება იმის ფერხთა ქვეშე, თავს მუხლს დიდდებს და ლაპარაკობს:

— კიდევ ეწვით რაღაცა. მაგრამ დავიღალე, დღეს აღარ წავალ იქ, შენთან დავრჩები, დროც, მოასვენე დიდებული და უბედური მეფე.

გაძლიერებულ ცეცხლის სინათლეზე **დრო** მღერის ასეთის მიხარწილის ხმით.

სიმღერა დროსი.

... სამრეკლოზე ცხოვრობდა მტრები—მტრები. თუნუქის სახურავზე ატყაპუნებდა თავის თათებს მტრები—მტრები. მოვიდა სიკვდილი და წარიტაცა მტრები. ყველაფერი ინგრევა, ყველაფერი იშობა და ყოველივე ხელახლად წარმოიშობების. ო, დაუსახამო შშობილო ჩემო! ო, შეიღებო ჩემო—წუთნო, წამნო და წელნო, ო, დაუსრულებლობავ, ასულო ჩემო!..

უკვე ნახვავიო ცა ცეცხლის აღწია გახვეული. ცეცხლი ერთიანად კი აღარ პრიღებს, უკვე მძინეარებს და აფთობს. მაგრამ სამრეკლოზე მშვიდობა და მყუდროება; ნადღლიანად, მორჩილებით ჰრეკავს საათი. შეუშწვევლად, მსრბოლელ აღმნიშნელი.

ფარდა ეშვება.

განდგელო.

(შემდგი იქნება).



ს ა თ ა რ ხ ა ნ ი *)

ამ დროს სათარხანი დაახლოებით ოცდაათი წლისა იქნებოდა და თუმცა დიდი მწუხარება ჰქონდა გამოვლილი, მაგრამ თმამი არც ერთი თეთრი ბეწვი არ ჰქონდა გამორეული, შესბედულებით კი გატეხილი სჩანდა.

მის გულში სდუღდა ჯაგერის ამოყრის სურვილი და ამისათვისაც აღიღიანის სამსახური მას არ აქმაცოვლილებდა, მეტადრე, როდესაც ჰხვდადა თუ რაგვარ ცუდ მდგომარეობაში სცხოვრობდა გლეხ-კაცობა.

მეშვედ-ალი-მირზა ვალიათის (ახლანდელ შაჰი) დროს, აღდრეიჯანის მემამულეებმა იმდენათ შეაწუხეს ხალხი, რომ მოთმენა აღარ შეიძლებოდა და 1905 წელს—რუსეთში კონსტიტუციის გამოცხადების დროს, სპარსეთის ემიგრანტ ახალგაზღობამ ხელი გაუწოდა გაყველფელ გამარკულ ხალხს—„რაიასს“ და იწყო მით შორის პროტესტის, ბძოლის იღვის გავრცელება და შესაფერ ორგანიზაციების შედგენა.

ერთი წლის შემდეგ, არა მარტო ადერბეიჯანში, არამედ მთელ სპარსეთში, ქვეყნის ყველა მხარეს ხალხმა დაარსა ენჯუშენები და ამოიჩნია თავისი წარმომადგენლები, რომელნიც ცოტახნის შემდეგ იმდენათ გაძლიერდნენ, რომ გაალადეს გლეხების საშუალებით მუშაბები (ხარჯის ამკრებნი) სოფლებიდან და საკუთარ საქმეების მართვლობას ხელი მიჰყვეს.

როდესაც სოფლებში თითონ გლეხები ასწორბდნენ თავიანთ ძველ ანგარშებს თავიანთ პარზიტებთან, ამ დროს ქალაქებში დგება ნაციონალური მილიციები,

*) იხ., „ჩვენი კვალი“ № 22.

ასე წოდებული—ჯანფიდაების ჯგუფები, რომლებმაც დევნა დაუწყეს „პაქიმებს“ ანუ ხარჯის არენატორებს და მთავრობის ყველა პირთ. ამ დროს, თავრიზის ჯანფიდაების შორის სახელი ვითქვა სათარხანმა, რომელმაც სხვებთან ერთად კორანზე დაიფიცა—დაეცვა ხალხის ინტერესები და სიკაცხლის უკანასკნელ წუთამდინებამდე დესპოტების წინააღმდეგ ვიდრე ხალხი არ მოიპოვებდა სანატრელ თავისუფლებას, და არა მარტო ადრებეიჯანში, არამედ მთელ სპარსეთში არავინ ისე მტკიცეთ არ დაუდგა ფიცს და პატიოსან სიტყვას, როგორც სათარ-ხანი, რომელიც დღეს, გამხდარა ირანის ხალხის საყვარელი გმირი, ქალების და „ხანუმების“ სალოაკები, პოეტების თხზულებათა გმირი და სპარსეთის მებრძოლთა სწორ უპოვარი სარდალი.

ბრძოლა გამწვავდა მთელს ირანში, ტანჯულ წამებულ და ყოველ მხრივ შეზღუდულმა ხალხმა თავი მაღლა აიღო და მტკიცე მოთხოვნები დაუყენა შაჰს. ველარ შეძლო მთავრობამ 1906 წელს აფგისტანში მუხაფერ-ედლინ შაჰმა პარლამენტის, მეჯლისის შეკრების ბრძანება გამოსცა და უბძანა, რომ პროვინციებში მთავრობის წარმომადგენლებმა ენჯუმენების ხელმძღვანელობით იმოქმედონ, რითაც ენჯუმენებმა ლევაღური ნიადაგი მოიპოვეს. ენჯუმენებმა ჯანფიდაების ჯგუფები დიეგულთა ორგანიზაციებთან სტყეს და მათ საშუალებით წელი გაიმეზარეს.

მუხაფერ-ედლინ შაჰის სიკვდილის, ესე იგი ერთის წლის შემდეგ, როდესაც ირანის მბრძანებელის ტახტზე ავიდა მაჰმედ-ალი-მირზა, ახლანდელი შაჰი, ყოველგვარი ძალი და საშუალება იხმარა, რომ ენჯუმენების და მეჯლისის არსებობა გაეუქმებინა, მაგრამ ჯანფიდაების ჯგუფებმა ხელი შეუშალეს და მას პირდაპირი ბრძოლა გამოუცხადეს.

შარშან აბრილში, როდესაც შაჰის კაცები ცდილობდნენ თავრიზის „არქიდან“ (სიმაგრე) იარაღის გამოტანას, პირველათ სათარხანი დაეცა მათ, წართუა იარაღი და ზარბაზნები და ხალხს დაურიგა.

თავრიზელები უკეთესათ სცნობდნენ მაჰმედ-ალი-მირზა შაჰს და ამისათვისაც დიდხანს სამუხადისში იყვნენ, რომ მის მიხედვით მსხვერპლათ არ გამხდარიყვნენ.

ხანდახან, როდესაც თეირანის მეჯლისში მყოფი თავრიზის წარმომადგენლები მჭირე რამეს დაუთხოვდნენ შაჰს, თავრიზის ენჯუმენის წევრები აურაცხელ პროტესტებს უგზავნიდნენ თაყიანთ დეპუტატებს და თხოულობდნენ, რომ მათ ზომები მიეღოთ და შაჰისთვის ხელი მოეწვრინებინათ „ემშრუთზე“, ძირითად კანონზე, რომელიც შედგენილი იყო მეჯლისის მიერ.

ექვს გარეშეა—სათარ-ხანს და მის ამხანაგებს ძრიელი ზომები რომ არ მიეღოთ, არ შეიარაღებულნიყვნენ და ამით შიში არ მიეცათ, მაჰმედ-ალი-მირზა შაჰი „ემშრუთს“ ხელს არ მოაწერდა და კორანზე არ დაიფიცებდა, მაგრამ ვერც ფიცმა და ვერც ხელის მოწერამ შაჰი კონსტიტუციის ნიადაგზე ვერ დააყენა, რადგანაც

მას გარედან ეძლეოდა ძალა, რის საშუალებითაც მან რამდენიმეჯერ კონსტიტუციის წინააღმდეგ აშკარათ მოქმედება დაიწყო და იქამდის წელი გაიმაგრა, რომ მეჯლისი დაანგრევინა, და ხალხის წარმომადგენლები მეჯლისის ნანგრევების ქვეშ მოაკოლდნენ, ხოლო ზოგიერთი თავდადებული მებრძოლი თავისუფლებისათვის იღის წამებით და წვალებით დახოცივნა.. Artemius.

(შემდეგი იქნება)

წამილი მოსკოვიდან

ა) ქართული კულტურის მოყვარულთა წრე,—ბ) სტუდ. კვიტაშვილის რეფერატი;—გ) ჩვეულებრივ ქართული საღამოს გაღაღება და ჩვენს სტუდენტობის უმრავლესობის უშუალო მდგომარეობა.

წარსულ სამოსწავლო წელში ქართველ სტუდენტობის ერთმა ჯგუფმა დააბარა „ქართულ კულტურის მოყვარულთა წრე“. როგორც თით წრის სახელიდან სჩანს, მას მიზნათ აქვს დასახული ქართული კულტურის შესწავლა. ამ მიზნის განსახორციელებლათ ყოველივე წევრი, თუ კი მას ამისთვის შესწევს გონებრივი ალა, მოვალეა მოამზადოს რეფერატი ან ლექცია და წაითხოოს წრეში; გარდა ამის, წრეს ვანსრახება აქვს წაითხოოს პრ.-დოც. ხახანაშვილს რამდენიმე სისტემატიური ლექცია საქართველოს ცხოვრების კულტურიდან, რაზედაც უკანასკნელს (ხახანაშვილს), როგორც წრის დამაარსებელმა და უმთავრესმა ხელმძღვანელმა გ. ჟორდანიამ გადმოცა, თანხმობა განუცხადებია,

ასეთი წრის დაარსება ფრიად სასიამოვნო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს მოსკოველ ქართველ სტუდენტობის ცხოვრებაში, მაგრამ მისი წევრები უნდა ეცადონ, რომ ეს წრე მართლა მეცნიერული წრე იქმნეს და არა მხოლოდ დროს დასაყრდენი საღაებო; რეფერატებს და საერთოთ მეცადინეობას მეტე ორიგინალობა და სერიოზობა უნდა ემშენოდეს. როდესაც ამას ვლავარაკობ, მე მხედველობაში მაქვს ბ-ნი კვიტაშვილის რეფერატი, რომელიც მან წაითხა 16 ოქტომბერს. ამ დღისათვის უნდა წაითხებულყო სამა რეფერატი: 1) ბ.-დ ხახანაშვილის—აკაკის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ; 2) გ. ჟორდანიას—ქართველების ძველ ადათებზე და ჩვეულებებზე და 3) კვიტაშვილის—რუსულთ: „Критическiя замѣтки по поводу драмы-легенды кн. Сумбатова „Изгнiя“, მაგრამ ბ-ნმა ხახანაშვილმა მისგან დამოუკიდებელ მეზუგების გამო იმ დღეს ვერ წაითხა; ჟორდანიამაც ვერ მოასწრო წაითხვა, რადგან წრეს სხვა მიმდინარე საქმეები და საკითხები ქონდა განსახილველი და ამას ბევრი დრო მოუწდა. წაითხა მხოლოდ ბ-ნმა კვიტაშვილმა. რეფერატმა თითქმის ვერც ერთი მსმენელი ვერ დაამყავილა, რადგან წინაარსით მეტად ლაბილი იყო. რეფერენტს აზრათ ქონდა დამტკიცებია, რომ პიესის ზოგიერთი

ადგილები ისტორიულათ მართალი არ არის. მან მოიყვანა ავტორის განცხადება, რომ პიესა რამდენიმე მე-XIII-ე საუკუნის ეპოქის დამახასიათებელია. რეფერენტი კი ამტკიცებდა, რომ მეტამეტე საუკუნის დამლევს ქართველებს არც ომი ქონიათ სპარსელებთან, როგორც ეს პიესაშია, და არც საქართველო ყოფილა პატარა-პატარა სახელმწიფოებათ დაყოფილი. პიესის ავტორის ისტორიის წინააღმდეგ შეტყობების დასამტკიცებლათ რეფერენტმა, ზევით დასახელებულ საბუთის გარდა, კიდევ შემდეგი მოიყვანა: თოფის წამალი მეტამეტე საუკუნის ბოლოსათვის ახალი ხლი იყო და იმ ხნისათვის თოფის წამლის სახვარი იარაღები (თოფ-ზარბაზნები) იმ ზომამდე არ შეიძლებოდა ყოფილიყო განვითარებული, რამდენათაც ეს პიესაშია გამოყვანილი. ამას გარდა რეფერენტი შეეცადა დამტკიცებოდა პიესაში გამოყვანილი ზოგიერთ ტიპების ფსიხოლოგიურათ შეუძლებლობა, მაგრამ აქ ორიგინალური თითქმის არაფერი არ იყო. ამ საკითხზე ქართულ გაზეთებში თავის დროზე ბევრათ უფრო ვარკვეული და დასაბუთებული წერილები დაიბეჭდა. რეფერატს კმათი არ გამოუწვევია, თუ შედეგობაში არ მივლეთ ზოგიერთ ამხანაგების ორიოდ შეწინააღმდეგებას.

ამისთანა რეფერატებს არაფერი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია; ქართული კულტურა ამისთანა რეფერატებით არ შეისწავლება და დრო კი უსარგებლოთ დაიკარგება.

როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, მოსკოვის ქართველ სტუდენტობის თანამემამულეთა წრე ყოველ წლით მართავს მოსკოვში ქართულ საღამოს და იქიდან შემოსული ფულით მატერიალურ დახმარებას უწევს ქართველ ღარიბ სტუდენტებს უნივერსიტეტის სასარგებლოთ ფულის შეტანით, პროფესორების სასარგებლოთ ჰონორარის გადახდით; ისე ერთდროული დახმარებით და სხ. ჩვენი სტუდენტობის უმარტულესობა ამ საღამოს იმედით ცხოვრობს. საღამო ჩვეულებრივით იმართებოდა ოქტომბერში ან ნოემბერში. წელს კი ამ თვეებში საღამოს გამართვა არ მოხერხდა, რადგან აღ ამ ოსათვის საჭირო მსახიობები ვერ ვიშოვეთ ყველა გამოჩენილი მსახიობი, რომელსაც კი შეუძლია შეგოსავალი მოგვცეს, ისეთიანარი პრობლებით არაა შეკრული თავის ანტრეპრენიორებთან, რომ ნება არ აქვთ საღამე სხვაგან მიიღონ მონაწილეობა საღამოს ან წარმოადგენს გამართვაში. ამის გამო ქართული საღამოს გამართვა გადაიდგა იანვრამდე (იმ დროისთვის გამოჩენილმა მსახიობმა ქალმა ლიუცემ ადგილთქვეა მონაწილეობის მიღება). ამ ვარგებობამ უმწეო მღვთაობაში ჩააყენა საღამოს შემყურე და მოიმედე ჩვენი სტუდენტობა; ბევრს მითვანს შეიძლება უნივერსიტეტიდან გამოირიცხვა მოვლოდეს, რადგან ფულის შეტანის იმედს უსახსრობის გამო არავითარი არა აქვთ.

როდესაც ქართველი სტუდენტობა ასეთ უმწეო მდგომარეობაშია ჩაყენებული, ბევრს ყოველ მოსკოველ

სტუდენტებს, რომლებმაც უნივერსიტეტის გათავების შემდეგ თბილ-თბილი ადგილები იშოვეს და კარგათ მოეწყვენ, მართებთ აქაურ თანამემამულეთა წრის ვალეზი (ერთი ძველი სტუდენტის სიტყვით ვალეზის ციფრი 15,000 მან. აღის), რომლის გადასახდათ ყურსაც არ იპარტყუნებენ ვს ვაგაბატონები. თანამემამულეთა წრეს ერთთა ერთი დარჩენია: იმპაროს ყოველივე უკიდურესი ზომები ვალათ ვაცემულ ფულების შესაკრებათ და, ჩემის აზრით, კიდევ იძულებული იქნება ამ გაზს დაადგეს.

ივ.—იძი.

თეატრი და მუსიკა

ილიას საღამო სახაზინო თეატრში.

27 ოქტომბერს სახაზინო თეატრში ილიას პატრიცელმთა ვამართული იქნა საღამო. საღამო სამი განყოფილებისაგან შესდგებოდა, პირველათ წარმოადგინეს „ღელა და შვილი“. სამწუხაროთ, წარმოდგენამ სუსტათ ჩაიარა. ქან ეფემისაგან მეტს მოველოდით. მონოლოგის კითხვის დროს მას ვღელა სიღნჯე, სიხუნვეე და მგრძნობიერობა. ბოლოს კი სიკვდილი არაბუნებრივი იყო. ლაზარაკოს ღინჯათ, მშვენიერათ, უღეროე დაეცემა და ჰლევის სულს. ჯერ ერთი, დაეცემა უფრო ბუნებრივი იყო ლოგინზე, სადაც იჯდა და არა ძირს; მერე და მართალია დიამაში სწერია „კვდებაო“, მაგრამ ეს „კვდება“ მაყურებელთათვის უეცარი აქტი კი არ არის, არამედ მხოლოთ პროცესია და ამ პროცესის დასრულება იგულისხმება ფარდის ჩამოშვების შემდეგში.

ბ. იმედაშვილმა ნიქის მაგიერ მხოლოთ დაუდევრობა გამოიჩინა. ამისთანავე, ნეტავი რათ უნდოდა იმდენი ფერ-უმარბილი, რაც იმის სახეს ბუნებრიობას უკარგავდა.

მშვენიერი იყო მეორე ნაწილი. მრავალრიცხოვანი ხოროს გუგუნეი, საუცხოო მუსიკით შეხმატკბილებულ ისეთ სიამოვნების ქსელში ჰხვევდა მაყურებელთ, თითქმის ჰლამოდა მათი გრძნობა ვაგეტაცა საღამო ნეტარების სამელობგლოცენო.

ბ. ევლახიშვილმა იმერია „მკრათლი ნათელი“. მას საიმისოთ არ მოუვალდებია მაყურებელი, რომ განსაკუთრებული ქება შეეასხათ.

სამაგიეროთ, მადლიანი ქება უნდა მივუძღვნათ ქან ოსიფოვისას. ის ისე კვლუკათ და ლამაზათ არდევდა ჰაერს თავისი მშვენიერი ხმით, რომ ყველა აღტაცებაში მოკავდებოდა.

მესამე განყოფილება იყო ცოცხალი სურათები განდევლიდან და ამოთეოზი. ადგილი ნებას არ გვაძლევს საგებოთ ავსწეროთ ამ განყოფილების მშვენიერება. აქ, მხატვრებმა შერჩინებმა, გრინესკიმ, როგორსკიმ და ნიკოლაემ მართლა ცოცხლათ გამოიჩინეს თავიანთი მაღალი ეგემონება და მაყურებელნი დიდ აღფრთოვანე-

ბაში მოიყვანეს. სალცხოვით ასრულებდენ თავიანთ სურათებს ქ-ნი გოგოლაშვილი და კ. ყიფიანი. ვანსა-კუთარებში მშვენიერი იყო სინტერესო პოეტურ მოწყობილობაში ნაჩვენები ილიას სურათი (კ. შესხი).

ყველა ამ მშვენიერებაზე საზოგადოება აღტაცებული ტაშის ცემით უბახუბდა.

ლევ. მეტრეველი.

ქართული თეატრი ქუთაისში.

როგორც წინათაც გვკონდა მოსწონებული, დრამატული დახის ამხანაგობა ვ რ გაუძლო ყოველ წარმოდგენიდან მიღებულ დფიციტებს და იმედ დაკარგულთ სუხონი დახურეს, ამ გარემოვანას ხელი შეუწოდა კიდევ სხვა და სხვა ვარემოვანა, რომელთა მასაწინებობა შეიძლება საზოგადოების მიუთითებ „აპირანის“ მე-181 №.ში მოთავსებულს, აქაური მსახიობ-ანტრეპრენიორის ე. ბალანჩივიძის წყობილებზე, სადაც აღწესებულია სუხონის დაცეცის მიზეზები, კიდევ ბევრი რამ საგულისხმებო გარემოებები, რომელნიც ნათელი ილუზორაკია ჩვენში არსებულ სიმპატურ დაწესებულებებში გამეფებულ „ღრიანების“-სა, პირადი ინტერესებისა და აქედან საზოგადო საქმის შეფერხების.

სუხონის დახურვის შემდეგ ქუთაისელი ღვთის ანაბარათ მანკე არ დაგრიტო: საქმის განგრძობა იკისრა თვით მსახიობთა მიერ შედგენილმა ამხანაგობამ, თუმცა სუხონის დატყობ თან მოვეცა ისეთი სასუქივით ძალთა ჩამოშორებაც, რომელიც არიერ, მამ.: ე. ბალანჩივიძე, ვ. ზალიკაშვილი, ჯავახიშვილის ასული და სხ. ასეა თუ ისე, ამის შემდეგ თვით მსახიობთ იღვეს თავზე ინციანტრომადა წარმოდგენების მართვისა. საკვირველია! თითქმის მათ ბელმა მაულობა: ავერ შესავე წარმოადგენას ჯაუდენი ისინი წინ და საიფიქრებან მოულოდნელი და არა ჩვეულებრივი შემოსავალი ქონდა. ამის მიზეზებს, რომ საზოგადოება და დასი შეურაცხყოფილი არ დაჩრჩენ, არ ვაიბარებ და ვაჩუქმდებო.

აღსანიშნავია მხოლოდ ის ვარემოვანა, რომ რადგან თვით მსახიობთ იკისრეს საქმის კოლექტიურათ წინ გაძლილა, ენერგიულ ცდის ელფერი დასდევს სცენას, თითქოს ვილაკ ს ევიბრებთან, შაბრამ საკმაო საქირო ძალთა უქნალობაც აწკარო თ სჩანს წარმოდგენებიდან.

პირველსაცა და მეორეს ნათლთ მოწოდებს 19 ოქტობერის გამართული წარმოდგენა. ითამაშეს დ. ერისთავის ჩვენში კარბათ ცნობილი ნ მოქ. ისტორიული დრამა „სამშობლო“. ისტორიული პოემატი, საზოგადოთ, ბლომით იხილავს აქაურ საზოგადოებას. მიუხედავად იმისა, რომ „სამშობლო“ სხვა და სხვა დროს მრავალჯერ უთამაშონათ, თეატრი დამწერე ხალხს ვერ იტყვდა.

ამ საღამოს ჩვენ დამსწრეთა შორის ყველა წოდების, პრაფისი და კლასის წარმომადგენელთ უხედავდით, წარმოიდგინეთ, როგორღადაც დავსწრენ მაყურებელი. მაშასადამე, ეს უბრალო მოკლენა იმის მომასწავებელია, რომ მასის გულში ღვივის ერთბაშად, უტყუარათ არსებული „რადაც გრძნობა“, რომლის უარისყოფა შეუძლებელია, რადგან მას მავრათ აქვს ხოლმე მადგმული ფესვები ადამიანის ძვალ-რბილში.

დასს, ვარგნულათ, ბევრი რამ „ახალი“ შეეტანა ტენიკის მაუმჯობესების მხრით დრამაში: ვეუდავდით გემოვნებით მოწყობილ დეკორაციებს, ახალ კოსტიუმებს, „მიზანსცენებს“, მართლ გრომებს და სხ. წერილობით. მხოლოდ რაც შეეხება პიესის სავალდებულო ასრულებას, უმეცაფილო დაგრიტო; ამის მიზეზი კი ის იყო, რომ უთამაშეს მომეძლით ამართლებდენი სუსტობდენ; აი მამალითად: ბ. პ. კორიშელს, სვიმონ ლენინიძის პასუხისმგებბა როლის ამართლებულს, ერთობ დიდი ტერითისთვის მოეკიდა

ხელი და ვერ დასძლია. მცოვან სამშობლოსათვის თავდადებულის, საქართველოს კეთილდღობისთვის წედბარი მებრძოლის, სვიმონის მაგიერათ სცენაზე ვსედავთ ერთ ტონზე მოლაპარაკესა და აღფრთოვანებას მოკლენულ ადამიანს. ბ. კორიშელის მხრით დიდი ბაბედულობა ამ როლში გამოსვლა. ესევე ითქმის ქ-ნ შუჭიშვილზედ. მან მართლთ ვერ დაამოკლავა კეთილისა და დასწრებულად ფაიროზის როლი: სცენაზე თავს ძალს ატანდა და მისი მიზნა-მოხვრა, თითოეული დახვეწება ნაძალადევი იყო. მას სცენაზე პირველთ ვესადეთ. სამაგიეროთ ჩვეულებრივ მოხდენითა და ლაზათით გაატარა ქ-ნ დავითაშვილის ასულმა ცბიერის, „მოლადატის“ და სიყვარულის მადმრთებელის ქთვეანის როლი. დაწმუნებული ვარ, ის კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ დაწარჩენთ თავის ულახათა თამაშით მისთვის ხელი არ შეეშალათ.

საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა თავის შეგნებულისა და მკვირცლ თამაშით ბ-ნ ზარდალიშვილმა (ლევან ხიმშიაშვილი). საზოგადოთ, მას ძალიან ესტრებნა ისტორიულ მზირთა როლის შესრულება. მანსაკუთრებით კარბი იყო იგი „შურის ძიების“ „აღოქმის“ ასრულების უკანასკნელ მოქმედებაში. მაყურებელი საზოგადოება მან ისე გაიტაცა თავის ვგრძობობარე თამაშით, რომ ქანდარიდან თავ დაიფწყებას მიცეგულ მაყურებელმა მადანსახა: „მოკალი, მამ სამშობლოს მოლადატეა!“ ის ბებრხულ დაჯილდოვდა „გვას.“ ძახილითა და ტაშის ცქრით. დაკვირვებით, ისწორით ვადამოკლავ ბ.შ. დადიანმა მკაცრი, უგულოსა და დესპოტის მანის სტელისგანდა. აღოა-აღავ კი მის შეცუურისა და სიკაცკის დამახასიათებლათ ვერ გამოდიოდა, არა უშავდა დიმიტრი დადიანის როლში ბ-ნ მერუსიძეს.

სათროიანისა და მამაც დაიკვირის ბოგაის პირთვენება ვერ ზადმბაცა ბ-ნ ბარველმა თავის თამაშით. ბოგაის როლის ამსრულებულს სიტყვების გამოთქმავ უფრო მღდრონი მიმიკა ესტარიოება, რაც ავლდა ბ-ნ ბარველს; მას ავლდა აგრეთვე კი თვისებება „უბრალეობა“ (просто), რომელიც ყველბან, ყოველთვის და ეველასთვის აუცილებლათ საჭიროა. ამას ვარდა მისა და კიდევ სწანარჩენ მსახიობთა საყურადღებო უნდა ვსთქვა, რომ ქართულ ენას თვალსაჩინოთ ხმის ამოღება (ударение) არა აქვს და არც შეშინებს; ეს სენია ერთნარბი და საჭიროა ამ ყალბი ვამოთავის თავიდან აშორება. ყურადღებას იპყრობს ბ-ნი ყალბევი გიშვილი თავის ვაბედული თამაშით.

უსამართლობა იქნება არ ადენიშნო ამ საღამოს ქ-ნ ჩიკოვანის მიერ ვაფთრებულის, საწამებლათ მიმავლის ქართველი დედის მგრძობობრთ დახასიათება.

დამწარენი: ბ-ნი მუგუშვილი, ჩარკვიანი და სხვ. ვსამბლს ხელს უწყობდენ სტატისტებმა, სცენაზე თავის არეული მოქმედებით უწინდელი ქართველთა ჯარის დასცობლნა „უბრაცყის“; ერთი იბრძოდა, დ-ნარჩენი ვაშეშებულო, ხნალ ამოუწვილინი იღვენ, „წყინართ“. თეატრში წესიერება ხშირათ ირღვევოდა ულაზგო უმიხეხა მამომხალით.

სერ—ყორუ.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ბარამიშვილი.